



କର୍ଣ୍ଣିଙ୍ଗ ପଞ୍ଜାଖିଳେ

ବୀଭବତ୍ତାକାଳିତା...

ଲକ୍ଷ୍ମୀପାତ୍ର



ପ୍ରଦୀପ କାନ୍ତିପୁରୀ

J. ୫

ବୀରପ୍ଲାଟିନାମିଳି...

ପ୍ରକାଶିତ
୧୯୯୭



ეროვნული
ბიблиოთეკა

K292.365
3



© ერტა ბუაჩიძე, 1999

საქართველოს კულტურის
06736 040 808 000 000



ବୋଲୁପ୍ରକାଶିତ...

ამას წინათ 21 თებერვლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამოციითხე, რომ იტალიელები არ მრავლდებიან და მაღა მათ „წითელ წიგნში“ შეიტანენ, როგორც გადაშენებისაკენ მიდრუკილ ერს.

ეს შემაშფოთებელი ამბავი თქმულია... 58 მილიონან იტალიაზე!..

რუსეთის კომუნისტების მეთაური გენადი ზიუგანოვი პრეზიდენტი ელცინს დიდ ბრალდებად უყენებს, რომ... „Страна вымирает“...

ამას ამბობს 150 მილიონან რუს ხალხზე, რომელსაც არა ერთი ათეული წელიწადი დასჭირდება, იმდენად შემცირდეს, რომ საყოველთაო განვაშის ზარები შემოსურან.

და მაინც, მოხალოდნელი რეალობის ფაქტით შეშინებული, ამთავითვე მოუწოდებს ქვეყნის მმართველებს, იფიქრონ და მიიღონ გადამჭრელი ზომები მოახლოებული ეროვნული უბედურების თავიდან ასაცილებლად.

ჩვენ კი... ქართველები, საქართველო...

სამშილიონან ერს, რომელსაც, ყველაფერს რომ თავი დავინაბოთ, მილიონზე მეტი პენსიონერი ეყოლება, ცხადია, ის ერთ ღრმა სიბერის ასაკშია, სიბერე კ, როთაც მთავრდება, აյ იმ საზარელ სიტყვას არ ვიხმარ, რომ გუნდება არ მოგვეშამოს, თუმცა... მოგვეშამება კი?

დიახ, ჩვენი ეს დიდი ეროვნული უბედურება გუშინ არ დაწყებულა და არც გუშინნინ... ჯერ კიდევ ამ საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში მიხეილ ჯავახიშვილი გულისნუხლით წერდა ქართველი ქალის გაგარეულების თაობაზე, რაც კარგს არაფერს მოგვიტანს... იოსებ ჭორდანია, რომლის გმირული სიკედლი, აბა, რომელ ერს არ დაადგამდა დიდების გვირგვინს, 1961 წელს წერილი — „ოჯახი ერის ბურჯია“, გვაფრთხილებდა ჩვენი წინდაუხედაობის, უგუნურობის შესახებ, ერთი და ორი ბავშვით რომ ვიფარგლებით და ამით სასიცოცხლო ფეხვებს ვაჭრით ჩვენი ერის სამარადის არსებობას, თქვენი მორჩილი მონაც, აი, უკვე ოცი წელიწადია „შავი წიგნი“ და „შავზე შავი წიგნი“ გავყივი ქართველურ უნიათობაზე, მაგრამ უმაღლესი ხელისუფლებიდან, არც კომუნისტური და არც პოსტკომუნისტური წყობილების დროს, არავინ არ გამომიჩნდა მსმენელი და გამგონე, და კვლავ და კვლავ ძალაში ჩჩება ან განსვენებული, სომეხი მლევდელმთავრის ვაზგენის უკვე დიდი ხნის წინათ ნათქვამი, ქართველებს რომ შეეძლოთ, ნახევარ ბავშვებ გააკეთებდნენ...

პოდა, თუ რამდენად მართებულია ჩვენს მიმართ ეს „ცილისწამება“,



ამის დასადასტურებლად თავს ნებას მივცემ მოვიყვანო რამდენიმე, ჩატარების ახლად გამოქვეყნებული ჩემი ერთი ნაშრომიდან, რომელსაც უწარჩინების გამო, დაინტერესებული მკითხველის ხელი და თვალი, როგორც ჩანს, ვერ სწორდება:

„მთებში დაიღუძა უებრო ალპინისტი... დარჩა პატარა ბიჭი... როცა გაიზარდა, სათაყვანებელი მამის გზას დაადგა, უნდოდა ამით მამის სხოვნა ერთგვარი შეავანდედით შეემოსა, მაგრამ, ო, ბედო მუხთალო, შეიღიც მამასავით ყინულოვანმა მთებმა შეინირეს... ახალნათხოვი ცოლი ორსულად დარჩა... იგი შზად იყო თავისი სიცოცხლე მსხვერილად გაელო, ოლონდ დაეტოვებინა ამქვეყნად საყვარელი ქმრის სახსოვარი და მისი გვარის გამგრძელებელი... და აი, წევს იგი ერთ-ერთ სამშობიარო სახლში და ვაჟაუცურად იბრძვის ნაყოფის შეიარჩეულისათვის, მთავარი ექიმი კი... არა, ცოდვა იქნებოდა ამის უთქმელობა, — მეურნალობით კი მეურნალობს, და ყოველმხრივი სათანადო ყურადღებითაც, მაგრამ როცა შშობიარის სარეცლიდან თავის კაბინეტში გადაინაცვლებს, ცინკურად ეუბნება კოლეგებს:

— სულელი არ არის ახლა ეს ქალი? რად უნდა ამას ანი ბავშვი?

გნევოლოგიის დარგში ასეთი ლოგიკით შეიარაღებული შუბლებაში მთავარი ექიმები და, მით უშეტეს, როგორი ექიმები, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ამჟამინდელ მხრებგაშლილ საქართველოში რამდენიცა გვყავს, პოდა,

ჩვენ გავმრავლდებით და ჩვენ მოვერევით ვაზგენს?“

„ერთმა, ხალხის ფართო წრებისათვის ნაკლებად ცნობილმა, მაგრამ მისი პროფესიის მომუშავეთა შორის მსოფლიო მასშტაბის მეცნიერად მიჩნეულმა პიდროტებინიასმა (ცოტნე მირცხულავი), ჩემი ნაშრომის გაცნობის შემდეგ მითხრა, რაც საქართველოს სადიდებელი სადლეგრძელო დაგვილევია, ყველა ჩვენგანს მის ნაცვლად საერთო შენებლობაზე თითო-თითო აგური რომ მიგვეტანა საქართველო ახლა ზღაპრულ ქვეყანას ემსგავსებოდათ.

ამ აგურებში, იგი, რასაკეირველია, შეიღიანობსაც გულისხმობდა.

პაიპაი, რომ, ჩვენდა საბედისნეროდ, თუკი ვინმე მიიტანს აგურს ამ შენებლობაზე, ეს კი მოგვწონს, მაგრამ თავად ჩვენ მის ასაღებად არც დახრა გვეხსალისება და არც ხელი გვემორჩილება...

პოდა, ჩვენ გავმრავლდებით და ჩვენ მოვერევით ვაზგენს?!?“

ერთმა ჩემში ყოფილმა თანაურსელმა გვიან დამით დამრეკა, ეს-ესაა დავამთავრე შენ წიგნი და ისეთ მონამლულ გუნებაზე დავდექ, ახალგაზრდა რომ ვიყო, უძრელად ათ შეიღის გავაჩინდოო...

გეშმით?

ახალგაზრდა რომ ვიყო... დაუბრუნებელს, წლებს, რომ ვეღარ დაიბრუნებს, ეს მან საუცხოოდ იცის და, აღბათ, ამიტომაც გვპირდება ცაში წერის, და არ გვპირდება, რაც უფრო რეალური იქნებოდა, — ჩემს ორვე შეიღის ანი გაგანია ცეცხლს შევუნთებ და მანამდე არ გამოუწელებ, ვიდრე

მესამე ბავშვს კალთაში არ ჩამიგორებენ, და არც საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელს, ჩემს დის შეიღიშვილს მოვეშვები, რომლის ციფრულზე უძვინითი ახალგაზრდებზე ძალზე შთაბეჭდავად იმოქმედებსომ ჩატარება
არაფერო ამგვარი არ მოუმოქმედებია.

პოდა, ჩვენ გავმრავლდებით და ჩვენ მოვერევით ვაზგენს?!

„ურიერსოტეტის ერთ-ერთი ფაკულტეტის ჩასათვლელ გამოცდაზე პირ-ფეხსრ „ამას და ამასთან“ შედის მესამე კურსის სტუდენტი „ესა და ეს“... — მაგ ფორმაში ჩემთან მოსული მეორედ არ გნახო, — მექანით შეფერილი ტრინით მიმართავს მას გამომცდელი, რომელსაც პირველი დანახვისთანავე თვალში არ მოუკიდა ამ სტუდენტის „ფორმა“.

ახლა ესეც ვიკომოოთ, მანც რა ასეთ სასირცხვილო ფორმაში გამოიცხადა? ეგებ გულმკერდი ისე გადაუშევლებია, რომ ძეგლები ნახევრად მანც უჩიანს, ანდა იქნებ ჯინსის ისე ვიწრო შარვალში გამოსალტულა, რომ მიბრუნ-მობრუნებისას, ჯერ კიდევ ამ მხნე მამაკაცს სექსუალურმა გრძნობებმა გონება ისე დაუბნიოს, რომ დადებითი ნიშანი სულაც არცოდნისთვისაც დაუწეროს, ა?

ო-ო, არც ერთი, არც მეორე: ამ სტუდენტი ქალის საძრახის ფორმა, თურმე, ორსულობა ყოფილა, განიერ კაბაშიც რომ ვერ მიუმაღლავს, ჩასაბარებელი დისკიპლინის, რომელიდაც მოძრა ხალხის ლიტერატურის ისტორიის ასათვისებლად კი აუცილებელია, თურმე, „ერთსულობა“ და არა დედობა...

პოდა, ჩვენს პირველ ეროვნულ ტაძარშიც ასეთი მოაზროვნე გინდ ერთიც თუ გამოირევა,

ჩვენ გავმრავლდებით და ჩვენ მოვერევით ვაზგენს?!

დიახ, „ნითელი წიგნის“ შესვეურებმა რომ იცოდნენ, რომ ამ ქვეყნაზე არის საქართველო და არსებობენ ქართველები, თავიანთ წიგნში ბევრად ადრეც კი შეგვიტანდნენ.

1989 წლის აღნიერის მიხედვით მოელი მოსახლეობის 70 პროცენტს თუ შევადგენდით, განსაკუთრებით ეროვნულ „გამანადგურებელ მოძრაობის, მიხაკონერების გამოთქმას თუ დავისესხები, შინაური იდიოტების წყალობით, ახლა 50 პროცენტიც აღარ ვიქნებით და ამის უფრო ოპტიმისტურად წარმოსაჩენად ტყუალად ველით მომავალ 1999 წლის აღნიერის შედეგებს.

ამ ბოლო ხუთ-ექვს წელიწადში, არეულობისა და ფუნქციი ცხოვრიების გამო, საქართველოდან ას ათასობით ქალი და კაცი გაისიზნა, მეტწილად ჯან-ლონით სავსე ახალგაზრდობა, პოდა, განა ჩვენ მომავალი გვიწერია, მით უმეტეს, რომ ეს განიზნულები, ერთეულების გარდა, აღარასოდეს ყოფილ საშმობლოში არ დაბრუნდებიან, სადაც თაქ ამოყოფენ, იქაურ ქუდს დაიხურვენ, მასპინძელ ერებში გათქვიფებიან, და არა სომხებივით ან ებრაელებივით შეჯგუფულად იცხოვრებენ და მამა-პაპის ტრადიციებსაც შეინარჩუნებენ.

ქართველობაზე ხელის ალება, შშობლიური მინის სურნელების მივიწყე-

ბა, საყრთოდ, ერთოვნული გრძელობის მიზნება, ო, რაწიგ გვეაღვილავა, გამსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს მკვიდრთ: ნახევარზე მცტი დაწყების აფხაზებისა ყოფილი ქართველებია, თურქეთში, როგორც ამჟამინდებული თუ ხუთი მილიონი გამუსულმანებული ნაქართველარი ცხოვობს, რომელთაც ქრისტიანობა არც გაეგონებათ და საქართველო თუ საით არის, არც ეს იციან, მაშინ, როცა თურქეთში დიდი ხნით ნაცხოვრებ სომხებიდან ერთიც, დიახ, ერთიც არ გათურქებულა.

რაյი სოტყვა თურქეთზე ჩამოვარდა, ბარებ ამასაც ვიტყოდი, რომ ბეჭრად ადრეც კი ვიდრე ამ ბოლო წლების თავის გატანის უამი დაგვიდგებოდა და თურქეთის საზღვრის გადალახვა გაიოლდებოდა, ამ ქვეყნას მექავეობის გზაზე შემდგარი ასიმით ქართველი ქალი, რეს „ნატაშებთან“ ერთად, კალიასავით შეესია, მაშინ, როცა იქ, სექსუალური „ბიზნესით“ გართულს, ერთ აზერბაიჯანელ ქალსაც ვერსად წააწყდებით.

პოდა, ამის შემდევ მოდი და ბრძანე, რომ ისლამი ადამიანის მორალური სიმინდის საგუშავოზე არა დგას, და რომ ის ჩამორჩენილთა რელიგიაა, და თუ ჩევნ, ქართველები, ისტორიული ქარტეხილების დროს, აი, ისეთს, როგორიცაა თურქეთსა და პაკისტანში (ისლამური ფუნდამენტალიზმის გარეშე), სადაც პრემიერ-მინისტრებად შეიძლება ქალებიც იყვნენ, ჩევნ ახლა, როგორც ერთ, თვითამოწყვეტის უფსკრულის პირას არ აღმოვჩედებოდთ:

შეილთა სიმრავლე, აი, რა არის ისლამის ერთ-ერთი მთავარი მცნება, შვილთა სიმრავლე კი ერთს სამარადის სიცოცხლის მთავარი წყაროა.

ვიცი, ამ აზრის გამოთქმისათვის ბეჭრი, რასაკირველია, გამკიცხავს და ბეჭრიც ამიძულებს კიდეც, მაგრამ მაინც ვიტყვი: ჩევნ ახლა არაფერი ქრისტიანული არა გვატყვია რა, ჩევნ ახლა მხოლოდ გარეგნულად, ფორმალურად ვართ ქრისტიანები, თუმცა ეკლესიები ლამის ყოველ სოფელში შენდება, ვაშენებთ, აგრეთვე მეოცე საუკუნის გამორჩეულ ძეგლს — სამების ტაძარს...

პო, მაგრამ, აბა, ვის უნდა დავუტოვოთ ეს წმინდა ნაგებობანი, თუკი სულ კიდევ რაღაც ოთხი-ხუთი ათეული წელიწადი და... სანთლის დამზები აღარავინ გვეყოლება, მოლოდენი აღარავინ იქნება.

ქართულ ეკლესიას ამ ბოლო ხანს სექტები შეესია, რომლებიც მას საყრდენს უთხრიან... მეც მომავითხეს შენ ჩინებულად გამოცემული, კარგად შეინიშული სააგიტაციო ლიტერატურით, მაგრამ მე მათ „პლატფორმაზე“ არ გადავსულვარ, ქრისტიანული დოგმატიკისათვის არ მიღალატია, თუმცა როცა გავიგე, რომ იელოველებს აბორტის გაკეთება უკრძალებათ და ამ ნიადაგზე ზესტაფონის რაიონის ერთ-ერთი სოფლის იელოველ გლეხის ქალს ხუთი შეილი ჰყავს — ხუთი! — აზრი შემეცვალა...

დიახ, ოლონდ გადავზრჩეთ, გადაშენებას როგორმე თავი დავალნიოთ და... არათუ იელოველობას, ისლამსაც კი ჩავეკონები, მთელი გულით, მთელი სულით...

დიახ, ისლამშაც, ოლონდ ვიცოცხლოთ, ვიცოცხლოთ, როგორიც უკა
საშარადისოდ!

კაცობრობის მომავალი ისლამის არის, ბუდისტების უწყვეტესის
არის... რა გასაჭირს არ განიცდის ინდოეთი, მაგრამ ჩერცე
სიმრავლეა... ჩვენ, ქართველებს, ვაონომიკურად სულაც არ გვიტირდა
სამოციან, სამოცდაათიან, ოთხმოციან წლებში, და მაიც ერთი შეილით
ვიფარგლებოდით, სულ დიდი — ორით სწორედ ამან ამოგვაყოფინა დღეს
თავი ასეთ კატასტროფულ ვითარებაში...

სხვათა შორის, ისლამის მაღარებლებია ჩერცებიც და... ვინ არ იცის,
რომ ამ ერთი ხელის დადება ქვეყნამ, ერთმა შუქა ხალხმა, დიდი და
პატარა, თითქმის ორ წელინადი რა თავგამეტებით ებრძოდა ქრისტიანულ
ურჩეულს — რუსეთს და საბოლოოდ ამ უზარმაზარ ვეშაპს თითოც
მოაკეთინა...

სულიერ კაცს ძალაუნებურად გაგონდება გუშინდელი ომი აფხაზეთში,
რომლის გამოძახილი გალშიც არ იგრძნობოდა, საქართველოს დედაქალაქში
კი იმხანად ადგილობრივი ქრისტიანი „მამულიშევილები“ არაბეთის ქვეყნებში
ნასასელელად გამალებულ რეკლამას ენეოდნენ, თითქოსდა საქართველოს
ბედი დუბაიში ნიდებოდა და არა ხოხუმში, სადაც რუსული ჯარის
შენართოები ქვას ქვაზე ადულებდნენ.

(საინტერესოა, რომ ამ შენართოების ფარული მთავარსარდალი შემდგომ
ჩვენთან ქრისტიანულად, საზეიმოდ მოვნათლეთ, რაც, მცონი, დიდად არც
გაგვემტყუნება: პოლიტიკის ცვალებადობა რას არ ჩაგადენინებს!

დასტურ, ქრისტიანული რუსეთისგან ქრისტიანულ საქართველოს, ტოტ-
ლებრიდან დაწყებული აფხაზეთის ამბებამდე, უპირობა ახსოვს მხოლოდ,
მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამიტომ რუსულ ენას შევუტით და
სადაც რუსული ნარწერებია, ყველა ისინი მატრაკვეცულად ჩვენთვის
მიუწვდომელი ინგლისურთ შევცვალოთ: დიდი ბრძოლის შემდეგ, როცა
ინდოეთი ბრიტანეთის იმპერიას დაუძვრა, ინგლისური ენა მაიც დატოვა
თითქმის საერთო სახელმწიფო ენად).

დიახ, ჩვენ კველა თავის დროზე, აჭარასთან ერთად, რომ გაემუსულ-
მანებულიყოვთ, დღეს 4 ათასი მეძავი არ გვეყოლებოდა, 300 ათასი
ნარკომიან არ „დაგვამშვენებდა“, ამორტი მთელ მოსახლეობას ეპიდემი-
ასავით არ მოედებოდა, განქორწინებათა რიცხვი ქორწინებათა რიცხვს არ
გადააჭარებდა, დასავლეთიდან ელემენტარული ზნეობის ნარმრყვნელი „სე-
ქსუალური რევოლუცია“ ისე ვერ შემოაღწევდა, რომ ქართველი ჭაბუების
თვალში ქალწულობა ისე არ გაპარტახტებოდა, რომ ახლა, სექსომათოლოგ
მერაბ ნებიერიძის ცნობით, სკოლის მეათეკლასელი გოგონების ნახევარი,
გათხოვებამდე, უკვე ეწევა სექსომრივ ცხოვრებას და მათ მეცნერებასე-
ლებიც დიდად არ ჩამორჩებიან, პატარაობიდანვე სიგარეტის ბოლით
„ნებიჯობაზე“ ხომ სიტყვა არ ითქმის...

ვერაფერ ამის მსგავსს ისლამის ქვეყნებში ვერ შეხვდებით, შორით

მგზავრობა არ დაგვჭირდება, გნებავთ მეზობელ აზერბაიჯანში შეიძებულ, ჩეხენსავით 70 წელიწადი კომუნისტური დიქტატურის არტისტებშე შეაძლინა დაულ ქვეყანაში...

ერს, როგორადაც არ უნდა უჭირდეს, 9 წლის მეծავი რომ ეყოლება, რაზედაც „საქართველოს რეპუბლიკაში“, რ. ლორთქფანიძე წერდა და ამაზე არაერთხელ თბილისის პოლიციის შეფარ დემურ მიქაძე ილაპარაკა, ერს, რომლის...

ჩემს მონაცემს, ალბათ, უფრო აჯობებს წარსული წლის 14 ნოემბრის იმავე გაზეთში მოთავსებული ბაგულის შეილის წერილში ამოვითხოთ:

„საშინელი ამბავი მოხდა: ათი წლის გია გვალია საფეხბურთო კლუბ „კოლეგიაში“ თამაშობდა, ყველას სჯობდა. რად გვვიმისამ და... 40 თანა-ტოლმა „საგანგებო თათბირზე“ განაჩენი გამოიტანა: უცნენ, წყალში შეათ-რიეს, თავი ჩააყოფინეს, მერე ზღვის სიღრმისკენ უბიძგეს, ნაპირს გამოვიდნენ და შევიდად, უშფოთველად სახლებს მიაშურეს, ჩვეულებრივ ჭამეს, სვეს, დაისვენეს, დაიძინეს“.

ეს ბოლო ორი სტრიქონი - წაიკითხეთ ხელმეორედ: ათ-ათი წლის ბავშვებმა, 40 ბავშვმა, კოლექტურმა მკელელებმა აჩვეულებრივ ჭამეს... „უშფოთველად დაიძინეს“.

ძალაუნებურად მაგონდება ამ ათიოდე წლის ნინათ ჩემს მიერ აღნერილი: „Совершенно гнусное преступление - страшное убийство вице-адмирала Холостякова и его жены... Комсомолец Калинин (вместе с женой комсомолкой) убив с целью ограбления умного, доброго, еще мыслящего и здорового героя Отечественной войны, старика и его старуху жену... спокойно пошел спать“. („Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву“ (стр. 48).)

ხედავთ რაიმე განსხვავებასაც ამ თრ ამბავში? ორმოცმა ბავშვმა, რატომ გვვიმისამ, სიცოცხლე მოუსწრაფა თავისივე თანატოლს და... „უშფოთველად დაიძინეს“, კომკავშირელმა, ალბათ, 24-25 წლის კალინინმა მოკლა მოხუცი ცოლ-ქმარი და „спокойно пошел спать“.

ორივე შემთხვევაში მკელელებმა ტკბილად დაიძინეს, ოლონდ პირველ შემთხვევაში ჩადენილის საშინელება ასმაგდება იმით, რომ მკელელობის მონაწილეობი არიან სულ პატარა, ათ-ათი წლის ბავშვები, რომელებიც მოქმედებდნენ შეგნებულად, აკი მოაწყვეს „საგანგებო თათბირი“, 40 ბავშვში ერთიც არ გამოერია ისეთი, საზარელ განზრახვას განდგომოდა, შინ გაქცეულიყო, შშობლებისათვის შეეტყობინებინა...

არავითარი სინდისის ქენჯნა, არავითარი გულისნუბილი, „ჭამეს და დაიძინეს“... ასეთ უმანკო ასაკში საიდან ასეთი მშეცური გამოვლინებანი? მაგალითს ისევ უფროხებისგან ხომ არ იღებენ? მამებისგან, ქმებისგან და... ზოგ შემთხვევაში მათ უკვე ალარც ქალები ჩამორჩებიან.

ამ ცოტა ხნის ნინათ გურამ ფანჯიკიძე გვიზარებდა თავის გულის ვარაში: „...ერთ-ერთ უძალლეს სასწავლებელში (თბილისის უნივერსიტეტის

ეზოში — კ.ბ.) სტუდენტი მოკლეს. ერთი ჩემი მეგობარი შეძრიწუნებული მიამბობდა, ახალგაზრდები როგორ ჩერდებოდნენ სისხლის „გაფრთულები“ და კვის დეჭვით, როგორი სიშვიდით დასჩერებოდნენ უბედურს „ასაკუმიშვილის შედედებულ სისხლს“.

ყოველივე ზემოთ ნაამბობი განა ერის სრულ ზნეობრივ დეგრადაციაზე არ მიგანიშნებს?

დღევანდელ საქართველოში ადამიანის სიცოცხლე დაფიქრების ფასადაც აღარ ლირს. აგერ ახლა, ნარდის თამაშისას, კაცმა კაცი მოკლა, უპრალი ნალაპარაკებისას, დუშაში საიდან მოგივიდაო... დიახ, მოსახლეობის რეცეპტორი შეფარდებით მკვლელობათა ოდენობით მსოფლიოში, კოლუმბიის შემდეგ, ერთ-ერთი პირველი ადგილი ჩვენ გვიჭირავს.

პოდა, ჩვენ კიდევ, დღეს თუ ხვალ, სკვედილით დასჯა უნდა გავაუქმოთ?! დაიხსომეთ ჩემი მორიცებული სიტყვა: გაუქმების შემთხვევაში განზრახ და შეკვეთილი მკვლელობები... ჯერ ახლა რა არის და... მაშინ ერთი ხუთად გაიზრდება.

უმაღლესი ხელისუფლება რომელიმაც სავალუტო ფონდის თუ ევროკავ-შირის ჩაგრინებით („არ მიგილებთ, თუ არ აკრძალავთ“) მოხარულიც არის, რომ ამაზე დათანხმდეს: „პოლოტიკური“ სკვედილმისვეგილები ბერზ გვყავს და, რაკი შერგებისკენ მივისწრაფით, მათი სკვედილით დასჯა მოსახლეობის გარკვეული ფერის დიდ შეშუოთებას გამოიწვევს, რაც ქვეყნის პრეზიდენტმა, რა თქმა უნდა, მშენებრად იცის, მაგრამ ისიც ხომ იცის, კონსტიტუციის ძალით, თუ არ ვცდები, შეწყალების უფლებაც აქვს, პოდა, დღემდე მისჯილები, ადგეს და შეინყალოს, ხვალიდან კი სკვედილით დასჯა...

შეიცვალოს სამუდმო პატიმრობითო... ჯერ ერთი, სამუდამო პატიმრობისათვის ჩვენ პირობები არ გაგვაჩნია, მეორეც, ამაოდ ფიქრობენ, რომ აგვარი პატიმარი ბუნებრივ სკვედილამდე სულ იმის სინაცულსა და გოდებაში იქნება, ეს რა მომივიდა, რატომ ხელი არ შემახმა, რა პირით მოვკალიო...

განზრახ მკვლელი არავითარი დანდობისა და შებრალების ლირის არ არის, მას გონებაში უწერია ავეაცობის ზრახები; ლეროთმა ვერ შექმნა სრულყოფილი ადამიანი, ამიტომაც ასე ანენილ-დანენილია ქვეყნიერება.

ის, რაც დღეს ქართველს ანუხებს, ფრანგს არ ანუხებს, არც ინგლისელს, სულ პატარა ისლანდიასაც კი... ამიტომ ნუ გადმოგვაქვს მექანიკურად ეკონომიკურად ყოველმხრივ დალხინებული უცხო ქვეყნების ყოფა-ცხოვრების თარგები... ნიუ-იორქში თურმე მაღაზიებია, ძალლების მაღაზიები, სადაც ძალლებს მსურველებზე სასეირნოდ აქრივებენ: ფინის გასეირნება საათში 25 დოლარი ლირს, დიდის, ბომბორას — 40... ჩვენთან კი, შეარჩან თბილისში, ცოფიანი ძალლებისგან დაკბენილი, ჩვენდა თავმოსაჭრელად, 8 ადამიანი მიიცვალა... საერთოდ, „საქართველოს სადა პყავს შეილი დასაკარ-გავი“, და ისიც ცოფისგან, ცოფისგან...

პოდა, მოდი და დაეჭირე: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კრონფესორი ათასობით გვყავს და ერთ დაბდურსაც ვერ მტკრისტეს „წრეს“ მტკრისტეს „წრეს“ დანონჯაშიც წამოვკრათ, და მაინც, ჩვენ მათთან შედარებით თითქმის ნახევრად ველური, მაგრამ ბუნებით ნიჭიერი ხალხი ვართ: ჩვენ შეგვიძლია ავაგოთ გელათის ტაძარი, შევექმნათ „ვეტნისტყაოსანი“, წარმოვშეათ დავით აღმაშენებელი და ილია ჭავჭავაძე, მსოფლიოს მივცეთ სტალინ...

და ასეთი ხალხი უნდა აღიგავოს დედამინის ზურგიდან? თანაც თავისივე ხელით, თავისივე ნებით... ეს, როდის ინინასწარმეტყველა აკაკი:

შენც მიდიხარ, მეც მივდივარ,

გეოთხოვები საქართველო...

შენ ნახვალ და სხვა შემოვა,

შემს ნადგომზე ისადგურება...

ო, ვინმე სხვა შეორებელი როდი შემოვა, შემოვლენ ისევ ჩვენი „ძმები“

— მეზობლები...

დიახ, ჩვენი სიკედილის მომლოდინე, „მეგობარი“ მტერი ხოთხითებს, რომ ჩვენ, როგორც ერთ, ასე იდიოტურად ვინწრიტებით და ეჭვი არ გვეპარება, რომ, აპა, სადაცაა კარს შემოალებს ოცდამეტრთე საუკუნე და იგი მოგვიტანს საყოველთაო შევბას, რის აღსანიშვანად სწორედ ამ საუკუნის დასაწყისში ვიზეიმებთ კიდეც ქართული სახელმწიფოს არსებობის რიც ათას ხუთას თუ სამასი ათას ხუთას თუ ოთხი ათას ნელს (ძიება მიმდინარეობს!), როთიც მთელ მსოფლიოს ვაცნობებთ, რა უძევესი ერთ ვართ და რა უდიდესი კულტურის შენონეც...

ერთი სიტყვით, დიდი მზადება გველის ლხინისათვის უამსა ჭირიანობისას! ო, ნეტავ რა მოგვცა ამასწინანდევლმა ყოვლად ქართველთა ფორმებში? უცხოეთში მცხოვრები ერთი ქართველი მაინც თუ დაბრუნდა თავის ისტორიულ, მამა-პაპათა სამშობლოში? არადა, ამ „ღონისძიებაზე“ ოცი მილიონი მიზარვა, მაშინ, როცა შეირჩეულვალი ასობით განანწალა ბავშვი გვყავს და 120 ათასი უგაჭირვებულესი ოჯახი დლევანდელ საზეიმოდ შემზადებულ, შექრილ-შემოქრილ საქართველოში, ნლევანდელ ბიუჯეტში კი ერთი თეთრიც არ არის ნაგულისხმევი ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილ მრავალშვილიანებისთვის დამარების ხელსაგანვდენად, თუმცა ითქვა კი, ესო მომავალი წლიდან...

სწორედ რომ ამ „მომავალმა ნელმა“ მიგვიყვანა ერთს არყოფნის ტრაგიკულ ფინალამდე...

ამ ცოტა ხის ნინათ თამაზ კვაჭანტირაძე ამბობდა და ნერდა: „პირადად მე მექმნება ძალზე რეალური შთაბეჭდილება, რომ ქართველმა ერმა დაკარგა ეროვნული თავმოყვარეობა“.

არა მეორა, ამ აზრს დაეთანხმოს ახლად დაარსებული „ეროვნული თევითშეცნობის ასოციაცია“, რომელიც უკვე გამოგვეცხადა სპეციალური მანიფესტით და გვაუწყა, რომ გამოსცემს უურნალს სათაურით: „რანი ვართ ქართველები!“

სხვათა შორის, ამგვარი ასოციაციის საქართველოსთვის ახალი ადგინდებული არის, იგი თავდაპირველად 1991 წელს ჩამოყალიბდა და იძირდებოდა მას თავმჯდომარეობდა პატიკურემული ჯანსულ ღვინჯილია, რომელსაც წერილი თვითშეცნობის პირბლემა, როგორც ვერდავთ, დიდი ხანის საქართველოს უფრო ფართო მასშტაბით, რევაზ ბარამიძესთან, დავით გეგეშიძესთან და ჯანსულ კორძაიასთან ერთად, ოლონდ, ცოტა არ იყოს, გაკეირვებას ინვესტიციას ამბავი, რომ უურნალის „რანი ვართ ქართველების“ რედაქტორად მოხსენიება არა ამ ასოციაციის ორგვერ დამაარსებელი და მისი სულინჩამდგმელი, არამედ სხვა, საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი პიროვნება. როგორც ჩანს, ბატონი ჯანსული რაკი სარედაქტოროდ ვერ მოიცლის, ასოციაციას ქართველი ერის შესაცნობად ძალზე დიდი გეგმები აქვთ.

გზად სახუმაროდ შეენიშნავდი, რომ იმანად, 1991 წელს, თვითშეცნობის ასოციაციის პირველ კრებაზე რომელილაც დაშინერეს ჩემი თავი ასოციაციის საპატიო ნეკრად ნამოყვენებია, რის თაობაზეც მაშინვე თავდავდომარის სახელზე „სწრაფი რეაგირების“ ბარათი ვაფრინე:

— გთხოვთ გამომიყევანოთ თქვენი ლირსპატეგებაცემი ასოციაციის ნევრობიდან — სულ ერთია იგი საპატიო იქნება თუ როგორი, — მით უძეტეს, რომ ასეთი ასოციაცია მე პირდად გულზე არცოთ ისე მხებატება, და ეს ქვეცნობიერად შეიძლება იმიტომ, რომ ქართული ეროვნული თვითშეცნობა ილია ჭავჭავაძემ ვერ კიდევ 1871 წლის 9 აგვისტოს შეიცნო ლექსად:

„ჩენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერ?“

სხვათა შორის, „ქართული თვითშეცნობის ასოციაციას“, თავისი დასახული მიზნებით და ამოცანებით, დიდად ენათესავება 1995 წელს შექმნილ „ქართული ფენომენის აკადემიას“ (აკადემია!), რომლის პრეზიდენტი რევაზ მიშველაძე და ვიცე-პრეზიდენტი ლევან სანიკიძე საზეიმოდ გვპრიდობოდნენ, რომ „სწორ ნარმოდევნას შეუქმნას ქართველს ქართველებზე“, მაგრამ, როგორც ჩანს, არ ჩქარობენ, აკი, დღიდან დაარსებისა, ამ ნელინადნახევარში, ამ აკადემიისა ჩამიჩუმიც არ ისმის, ეს კია, მისმა ვიცე-პრეზიდენტმა თავისი ლრმაშინაარსიან ნერილები აქა-იქ დაამშვენა ტუტულით: „აკადემიკოსი ლევან სანიკიძე“ (ძალაუნებული გაგონდება პავლე ინგორიშვა, — არც პროფესორი იყო, არც აკადემიკოსი, იყო მარტო — მეცნიერი!).

ამას არ უნდა ბჟობა, ამ კრიზისულ სტუაციაში, როცა ერს სულის ხუთვა ჭირს და მისი სუცოცხლის ნლები თითქმის დათვლილია და ყოველგვარ უასოციაციოდ და უაკადემიოდ ისედაც ვიცით, რანიც ვართ ქართველები, მთელი ჩენი აზრი და ფიქრი, მთელი ჩენი ენერგია დაავადებული ქართველი ერის შესაძლო გამოვჯანმრთელებისკენ ნარვმართოთ...

ვინ იცის, ეგებ მოხდეს სასწაული, ეგებ მოხდეს სასწაული და — გადავრჩეთ! როგორც ერთ, გადავრჩეთ...

ამ სასწაულს ვერც ღმერთი მოგვიხდებს, ვერც პატრიარქის ქადაგებაზე /
და ვერც პრეზიდენტის მოწოდებან!

ეს სასწაული თვითონ ჩვენ, ყოველმა ქართველმა უნდა მოისწავლით
პარლამენტის წევრებიდან დაწყებული და გათავებული მიკარგულ ზღვილში
მყოფ 18 წლის ახალგაზრდამდე.

აი, გაშინ უნდა ვთქვათ და ჩვენი სკვადილის მოსურნე მტრებსაც
ვუჩვენოთ, რანც ვართ ქართველები!..

დასხ, ჩვენი მშსნელი, ჩვენი მშველელი, ჩვენი გადამრჩენი, ქვეყნისა და
ერის ამომგდები ნამშედურობის ამომშთანთავი მხოლოდ და მხოლოდ
პირადი მაგალითია, პირადი მაგალითია, პირადი მაგალითია!

ამ დიდ ეროვნულ სასწაულს სათავეში უნდა ჩაუდგეს, რა თქმა უნდა,
საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც უშუალოდ გაუძლვება ენის სახელმწი-
ფო პალატის მაგარ სამთავრობო დაწესებულებას, რომლის მოქმედ პარ-
ატში იმუშავებენ არა შემთხვევით „დემოგრაფები“, რომლებიც უფრო
იმაზე ფიქრობენ, თუ რა ნაგლიჯონ პუმანტარული დახმარებიდან ობოლ
ბავშვებს...

რასაკერველია, დროებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება უფრო
იოლია, ვიდრე ჯერ კიდევ შემორჩენილი მთელი ერის ეროვნულ ჭეუაზე
მოყვანა და აღმოჩინების გზაზე შედგომა, მაგრამ პრეზიდენტი ედუარდ
შევარდნაძე არ უნდა შეუშინდეს ამ უძველესი და უსაჭიროეს მისის
შესრულებას... 1980 წლის ივლისში გაუვაგზავნე რა მას, მანქანაზე გადაე-
ჭდილი „შავი ნიგნი“, ასე მივმართავდი:

„უზომოდ მოხარული ვიქები, თუკი ეს, არა მხოლოდ ჩემი საგოდე-
ბელი, არ დარჩება, თქვენის წყალობით, „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა
შინა...“

დიახაც, რომ ეს იქნებოდა დიდი, დიდი საშეილიშვილო, უკვდავი საქმე,
და როცა მომავალი თაობები ძეგლს დაუდგამენ გამსაცდელის უამს
საშეილოს გადამრჩენელს, ედუარდ შევარდნაძეს, შთამომავალნი გას სათ-
უთი სიყვარულით მოიხსენებენ, და არა ისე, როგორც ახლა — საბურ-
თალოში აღმართულ ერთ მონუმენტს გულგრილად და უსიყვარულოდ რომ
ჩაულიან ხოლმე“.

გაშინ ამ ჩემს საქვეყნო სახოვარს ბეჭრი არაფერი ყურადღება მიაქცია
ბატონშა ედუარდმა...

შეიძლება იმ დროის ბრალი იყო, ახლა სხვა დროა... საბურთალოში
საქართველოს პრეზიდელი გამაუბედურებლის სერგო ორჯონიშვილის მონუმენტი
წყველა-კრულევით მიანგრ-მოანგრიეს...

საქართველო კი ახლა უფრო უარეს დღეშია, ვიდრე იყო გაშინ: კიდევ
უფრო შემცირდა მოსახლეობა, შემცირდა ტერიტორიულად...

ამონყდომის პირასა ვართ...

მხოლოდ სასწაული თუ გვიხსნის, სასწაული...

სწორედ ახლა უნდა გამოჩინდეს, სინამდვილეში, რანც ვართ ფართველები...

ერთიანული

რა ვქნა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, ჟურის შემსტურისტები პრეზიდენტის ცისფერ ოპტიმიზმს:

„მინდა ყველას კუთხია, მტერსაც და მოყვარესაც: არ დაეცემა ეს ქვეყანა! არ დაიშლება საქართველო, არ გადაგვარდება და არ გადაშენდება ქართველი ხალხი...“

ღმერთმა გისმინოს, ღმერთმა გისმინოს...

იაკობ გოგებაშვილი ამბობს: „რომელიმე ერთს გაქრობა ასახიჩრებს თუთ კაცობრიობას“. („ბურჯი ეროვნებია“, გვ. 57).

მით უშეტქის, ჩევნისთანა ნიჭიერი ერთსა...

დაბოლოს, ჩემი სურვილია, მკითხველს შევთავაზო სტრიქონები, რომლებიც დაიწერა 1982 წელს:

„მრავალი ჩევნი ოჯახური უბედურება გამოწვეულია ჩევნი მცირეშვილინობით, ერთი თუ ორი ხელიხელ საგოგმანებელი, ხატად ქცეული, სათაყვანო პირშობებით...“

„...გიხაროდენ, ქალებო, თუ დედად დაიბადეთ და არა ბოზად, და ხელოვნურად ნუ ჩაკლავთ საამაყო დედობის ამ მადლცხებულ გრძნობას“.

„რაკი ამ ფრაზაში ჩაქსოვილი აზრი ორვე „შეაი ნიგნის“ საფუძველთა საფუძველია, და თუმცა იგი არაერთხელ უკვე ითქვა, მე მას მაინც ერთხელ კიდევ მოგაგონებთ:

— შვილი რაც მეტი გეყოლება, მით უკეთესია: ზოგი კაი გამოვა და ზოგიც გლაბა... ჭკუთაც, გარეგნობითაც, საქციელითაც...

ამ გონიერებით სავსე დასკვნამდე ერთი ისეთი მრავალშვილიანობის პრაქტიკოსი დედა მივიდა, რომელსაც სკოლის პირველ კლასშიც კი არასოდეს ფეხი არ შეუდგამს.

მიხედ-მიხედეთ: თვითონ ცხოვრება გვიდასტურებს, რომ ხშირად შშიბლებს ათი შვილი არ გაამარტინს ისე, როგორც ერთი, მაშინა და დედისერთა“.

„მე მოგმართავთ თქვენ, ქართველებო, არა სიტყვიერი, გატლებილი ენით გამრავლებისკენ...“

პაპა ხარ თუ ბებია, შვილიშვილზე იმოქმედე, მამა ხარ თუ დედა — შვილებზე იმოქმედე, ახლად შეულლებული თუ ხართ — ერთმანეთზე იმოქმედეთ, თუ ასაკი ხელს გინყობთ და ჯერ არ შეულლებულხართ, — იჩქარეთ, ნუ გადასდეთ...

საქართველო განსაცდელშია, ახლა წყდება ბედი მისი...

ვიხსნათ, ვიხსნათ ჩევნი სამშობლო აღვისა და მოსულ-მომსვლელთა წალეებაგან!

ტსა...

აბა ყური მიუგდეთ — გესმით? ქართველების სასაფლაოზე ქართველების მესაფლავენ — მიკიჩ-აბდულ-ზაურკებ-კუმფი ამ სამი წლის წინათ

გულში თუ ღილინებდნენ, ახლა უკვე მოურიდებლად ნახევარი ხმის
მღერიან და...
 ნუ, ნუ!...
 ნუ მიცცემთ მათ ჩვენი ბეჭოვლათობით,
 ჩვენი უდარდელობით,
 ჩვენი დაუდევრობით,
 ჩვენი უქნარობით,
 ჩვენი უჭკუობით
 გახარების საბაბს, რომ მთელი ხმით ამღერდნენ:
 „საქართველო მალე თქვენი აღარ იქნება — ა...“

თებერვალი, 1997 ნოემბერი

საქართველოს
პარლამენტის
თავმდებორობის
ზურაბ შვანიას

ასტა:

საქართველოს
პრეზიდენტის
ცდურდ შვანიას

„დაუდევნები ვართ ქართველები
და ეს მოვალეობს კიდეც მოლობს“
იღლის

წელიწადზე მეტი გავიდა დღიდან ჩემი წერილის გამოქვეყნებისა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (30 მაისი, 1997 წელი).

თითქოს მისი სათაურიც — „ვილუპებით...“, — მიგვაწიშნებს, რა სამჯედრო-სახიცოცხლო საკითხს ეხება იგი: ერთს ნებაყოფლობით თვითმკვლელობას, მთელი ხალხს სულ ერთიანად ამოხოცვას, რაც დღეს და გუშინ არ დაწყებულა, უკვე ათეული წლები გრძელდება და ღრმავება, მაგრამ მისი გამკითხავი და შემქავებელი არავინ არ ჩანს, არავინ არ ჩანს... .

ამას წინათ მოსკოვის ტელევიზიამ გადასცა, დემოგრაფიის სფეროში, მიუხედავად საერთო ეკონომიკური სიდურნებისა, ყოფილი საბჭოთა რესუბლიკები, ყველანი, გარდა რუსეთისა და საქართველოს, აღმავლობას განვიდიან, — მოსახლეობა მრავლდება და მრავლდება, რუსეთსა და საქართველოში კი კატასტროფულად მცირდება და მცირდება...

ო პო, მაგრამ... კვლავაც თუ ასე გასტინა, 150 მილიონიან რუს ხალხს ასეული წლები დასტირდება, რომ მთლიანად აღიგავოს დედამიწის ზურგიდან, მილიონ ორის ათასი დაკრძოლმილი პენსიონერისა და ორის ათასი ინავალიდის მყოლე სამახვიარი მილიონი ქართველის უკანასკნელი ამოსუნთქვისათვის კი ამის მეასედი დროც საკმარისი იქნება.

ერთთავად საინტერესო და დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ კატეგორიული და თითქმის პანიკური „ვილუპებით...“ თუმცა სალიტერატურო გაზეთში დაიბრუნდა, ხუთასი მწერლიდან მას ერთიც არ გამოხმაურა, თითქოსდა სადარდებელი და საზრუნვავი ჩვენ სულაც აღარაფერო გვჭირდეს, თითქოს ჩვენი, მთავარზე მთავარი, ეროვნული საქმე აღჩუშება შემჯდარი, თითქოს მათ პოზიას, პრიზას, დრამატურგიის მარად ეყოლებათ მეითხველი და მაყურებელი, და რომ, მათი შესაძლო აზრით, ეს მოცლილი კალმოსანი მამაკაცის სხეულის ერთ ინტენსურ ადგილას ტყუალად იყრის მახას...

რა ვქნა, მაინც ვერ დავიჯერებ, რომ სინამდვილეში ჩვენს, მართლაც, სახელგანთქმულ შერლებს, ქველებურად თუ ვიტყვით, ერთს წინამდლოლთ, როგორებიც არიან, მაგალითად, ჭაბუა ამირეჯიბი, გვივი გეგეჭკორი, ეზარ კვიტაშვილი, მურმან ლებანიძე, რევაზ მიშველაძე, შოთა ნიშნანიძე, ჯამსულ ლეინჯილია, ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წიგნივაძე, ტარიელ ჭანტურია, რეზო ჭეიშვილი, უკაველად გულზე ეხატებოდეთ თავისივე ერთს ასე

უმოწყალოდ და სამარცხვინოდ გაჩანაგება და არ აფიქსირდეთ, მან
ანუ ხებდეთ შშინებელი ერის გაქრობის ახლო შავი მომავალი, შემოწყიდვაში მათზე
ადრე, აგრე უკვე ოცი წელინადია, საქვეყნოდ გაკიცის, ნაბეჭდით მოტიურულ
გაყიცის, მათთან შედარებით, უმნიშვნელო ლიტერატური, რომელთანაც მათ
არც მეგობრობა აკავშირებთ და არც, უძრალოდ, პირადი ნაცომობაც,
უფრო ურჩევნიათ იპაქტორი ქართული ენის სინმინდეზე, ანდა, როგორ
გადავარჩინოთ უურნალი „ხელოვნება“, და, საერთოდ, ქართული კულტურა,
თუმცა, აბა, ერთი მითხარით, ან ენა რაღად გვინდა, ანდა თვით კულტურაც,
თუკი მათი ნარმოშმობი და შემქმნელი ერი და მათი საშმობლო, სულ
დიდი, ოცდამეერთე საუკუნეში წუთისოფელს გამოეთხოვება.

...დიახ, გამოვეთხოვებით მსგავსად სადღაც შორეულ ჩრდილოეთში ჯერ
რეას სულამდე შემორჩენილ კორიაკელისა და ორი ათასამდე ჩუქჩისავით,
რაც ჩვენს კარის შეზობლებს, ო, რაროგ „დაამწუხრებთ“, სხვები კი
როგორლაც მიუსახმიმრებენ იხტორიას, ჩვენს დროში ქართველებმა დაამთა-
ვრესო თავიანთი არსებობა ისე, როგორც ერთ დროს შუმერებმა, ხეთებმა,
პელაზგებმა, ეტრუსკებმა და დატოვეს მათსავით შესაშური ცივილიზაცია
და, რაც მთავარია, ამ პატარა ერბა თავისი წიაღიდან მსოფლიოს მისცა
ორი ბუშერაზი ადამიანი — რუსთაველი და სტალინ...

ცხადია, ცნობა არ გაგიჭირდებოდათ, ჩვენი ადსახრულით გახარებული
მეზობლებია — სომხები, აფხაზები, ისები, აზერბაიჯანელები, რომელთა
მოსახლეობის მატება საქართველოში გვერდება ჩვენც, ქართველებს, ამი-
ტომ წელში გამწყდარიად ჯერ კიდევ არ ვითვლებით, თუმცა, მაგალითად,
ახალდაბადებულთა სუვერენიტეტის კოეფიციენტი, 1996 წლის მონაცემებით,
ერთი მესამედიოთ გაიზარდა და 1000 სულზე შეადგინა 17,4; ამავე დროს
მკვდრადდაბადებულთა მაჩვენებელმა თითქმის ერთორიად იმატა.

და ეს თითქმის სულ ერთინად ქართველების ხარჯზე. ჩვენ კი ამ
დროს... დიდი ხნის წინა სულმათად წოდებული აკაკის ეს სტრიქონები
თითქოს დღესაა დაწერილი:

„ლეთის მადლასა, რა დროს ეს არის:
ძმა ძმაზე ლესავს ხანჯალსა?!
იღუშებიან ორივე,
არც ლონეს ზოგვენ, არც ძალასა,
გააგდეთ ხმალი... ხანჯალი!
ხელი ხელს მიეცთ მშურადა!
წუ შესცეკერიხართ ერთმანეთს
მტრულად და ბატონ-ყმურადა.
... რა დროს მტრობაა ძმებისა
და რა დროს განზე დგომაა?
...და მტერს დაუზვდით გარეშეს
თამამად... ვაჟეაცურადა!“

აკაკის ხსენებაზე... სხვათა შორის, ბატონი ზურაბ, კარგა ხანია ჩვენს
პრესაში აკაკის ხსენება თითქმის სრულებით ალარ შეგხვდებათ: იგი ილა

ჭავჭავაძემ, უფრო სწორად, ილია დააჩიტილინებ, რასაც ილია, ცოცხალი, არავითარ შემთხვევაში არ იყადრებდა, რადგან მე-19 საუკუნის ქართველული შერლობის ამ ორი გოლიათის ერთმანეთისგან დაშორება არაფუთაშის უსამართლობაა, დიდი სიბრუყეცაა. სხვათა შორის, ზოგმა მაღლადგომში ბრძენმა თავისი დამოკიდებულება აკაკისადმი ახალ მოჭრილ ფულზეც გამოხატა: ათ ლარად აკაკი შეაფასეს, ოცად — ილია, მაშინ როცა ორივენი ერთად უნდა მდგარიყვნენ ისე, როგორც ესაა თბილის პირველი გიმაზიის წინ აღმართულ ძეგლზე.

ახლა რატომდაც ალარ ეძებენ აკაკის ნაწერებში საქართველოს ასაყვავებლად და მარადის სასიცოცხლოდ ფრთიან გამონათქვამებს და გონიერულ აზრებს, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდებიან ილიას ერისკაცურ მოსაზრებებს, ზნეობრივ დარიგებებს.

მინდა, ბატონობ ზურაბ, გულდასმით ნაიკითხოთ და ჩაუკირდეთ ქვემოთ მოყვანილ საკმაოდ გრძელ ციტატა... არსებითად ეს ციტატა არც არის რაიმე ტექსტიდან ამოღებული, ეს მწყობრად ჩამოყალიბებული აზრთა კონაა:

„შემოვიდა ჩევრში მაისი და გაზაფხულის დღესასწაული, შემოვიდა ამაციად, რწმენით, გულდაჯერებით, რომ მთელს ქვეყანას, მთელს დედამიწას ახარის სხარული ერისა, რომელმაც საუკუნეთა ქართველებს გაუძლო, ათასი ჭირ-ვარამი გამოიარა, ყველაფერი აიტანა და მაინც არ დაარღვეოა ფუძე, არ გააციი კერა, არ წააქცია დედაბოძი. ლაპარაკია ერზე, რომელიც ამ ლამაზ მიწაზე დასახლდა, დაფუძნდა და ლისუულად ეზარა საკუპრიო კულტურის ყველა მონაპოვარს, აითვისა და გაიცნო კაცთა მოდგრძის ნალვანი და ნააზრევი, თავადაც თქვა თავისი სტყვა, ისეთი როგორც კედრებობდა, როგორც მის მიწასა და ბუნებას შევნიდა — ლამაზი, დარბაისლური...“

ამის დასტურად იკმარებდა რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია, ვაჟა, გალაკტიონი...“

რას იტყვით, როგორი დანეროლია? შინაარსობრივადაც ასე მოკლედ, აზრობრივადაც ასე ფრთაგაშლილად, ასე ხატოვნად ბეჭრი ნამდვილი შეერალიც ვერ დაწერს, არადა, ამას წერდა ედუარდ შევარდნაძე, როცა ის ქრისტეს ასაკისა ბრძანდებოდა, ვიდრე მაცხოვარს ჯვარზე გააკრავდნენ — 33 წლისა, რებულინის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოზე, რომელმაც „საუკუნეთა ქართველებს გაუძლო, ათასი ჭირ-ვარამი გამოიარა, არ გააციი კერა, არ წააქცია დედაბოძი...“

ახლა კი...

მაგრამ ჯერ იმას მივხედოთ, რომ პატივცემულმა ედუარდმა ამ თავის პატარა სამოგრამო წერილში, დიდი ქართველი მწერლების დასახელებისას, ქართულ სამწერლებო ლიტერატურაში პირველმა გამოტოვა აკაკი („რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია, ვაჟა, გალაკტიონი...“).

არ ვიცი კი, შემთხვევით თუ განზრაზ, მაგრამ ეს არ არის ამჟამად მთავარი უფრო ისაა, რომ ამის დანერობან თერთმეტი წლის

შემდეგ ეს ჩვენი კალმოსანი თითქმის მთელი საქართველოს სახურის-რობელი გახდა... თითქმის-მეტქა ვწერ, რადგან ცალი უფრო ცუკრო მოსკოვისკენ ეჭირა, მისი საქმიანობა მოსკოვის მიერ კონტრადისულებული ფურა თუმცა, ცხადია, ხედავდა, საქართველოში კერა როგორ ცივდებოდა და დედაბოძი მისი ნაქცევისკენ ისრებოდა, მაგრამ მაინც ვერ იყვირებოდა, მოგვეშველეთ, ვიღუპებით...

სწორედ იმ ხანებში „გამოვიდა“ ქსეროქსზე გადატანილი ჩემი „შავი ნიგნ“, რომლითაც უთანაშებობობ პატარა ქართველმა მოურიდებლად ვიყვირე დიდ თანამდებობიან მამულიშვილების — გრიგოლ აბაშიძის, ნოდარ დუმბაძის, ოთარ თაქთაქშვილის, ვახტანგ ჭელიძის გასაგონად, გმოვთხიზლდეთ, ვიღუპებით-მეტქა... ცალკე, პერსონალურად მიემართე, იმ დროიდნელი ჩემი აზრით, დიდ ქართველ მოქალაქეებს — რევაზ ჯაფარ-იძეს და გიორგი ციციშვილს, მაგრამ... ყველა ამათგან არავითარი შარდაჭერა, სრული დუშილი, თითქოს ჩემგან არც არაფერი მიელოთ და არც არაფერი წაეკითხა, თითქოს ერთს ორგანიზმს არც არაფერი სტკიკოდა...

ეგრეთ ნოდებულმა უბრალო ხალხმა კი, მიუხედვებად ჩეკა-უკაგებეს“ მიერ აშეარა დევნისა, „შავი ნიგნ“ უმაღვე აიტაცა, ერთმანეთს ხელიდან აცლიდნენ და მის კითხვაში დამებას ათენებდნენ...

თქვენის ნებართვით მოვიყვან რამდენიმე ამონანერს მიღებული წერილებიდან და აგრეთვე ოთხმოცანი წლების დასტამბული ორი წიგნიდან, რაც მათი ავტორების გაბედულებას მოწმობს:

გიორგი ქავთარაძე, ომის მონაწილე შერალი:

„არ შეიძლება არ მოეწონოს თქვენი ნააზრევი ქართველ კაცს, თუკი ჭეშმარიტი ქართველი იქნება იგი და თქვენსავით ფიქრობს საქართველოს ბედზე...“

„სულაც არ გამევირვებია, რომ არ გამოქმაურნენ თქვენს წიგნს თანამდებობის პირი. ნეტავ რას ფიქრობენ ისინ? რასა და თავიანთ თანამდებობას უფრთხოლდებიან, არ უნდათ აიტკიცონ აუტკიცარი თავი“. ქუთათურების სახელით გამოგზავნილი, ახლანდელი პოეზიის თვალსაზრისით, პომიტული ლექსიდან:

„მარჯვენას უუქებ, კალამს უუქებ,
ვინც სწორად სჯის საუკუნეს,
ვინც ცხოვრებას შუბლგატებილ
ვაჭრის თვალით არ უყურებს,
კაცი იყო — კაცად დარჩე,
ამ სკეთეს აბა რა სჯობს,
ერის დარდით, ერის დარდით
დამზარ შეილებს გაუმარჯოს“.

ვკეშელავა, ომის მონაწილე, გადამდგარი პოლკოვნიკი, დამსახურებული ექიმი:

„თქვენი შესანიშნავი წიგნი დიდი ყურადღებით წავიკითხე და დიდი სულიერი კმაყოფილება ვიგრძენი, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ.

ასეთი წიგნის დაწერა ჩვენს დროში შეუძლია ნამდვილ ქართველ პატიო-ოტს, თავდაცებულს, მეტად ნიჭიერსა და ერთს სატყიფრით გურულებული ადამიანს. წიგნი გატაცებით იკითხება პირველი ფურცლებიდანვე შე—უჩიენებერ ლი დასმული საკითხი ღრმა ინტელექტუალური ანალიზით არს დასაბუთე-ბული".

უდროოდ გარდაცელილი 6 შეილის მამის, ნამდვილი მეცნიერის და ნამდვილი ქართველი მოქალაქეს გელა ბანძელაძის ბარათიძან:

"თქვენ დაწერეთ არაჩეულებრივი წიგნი, რომელიც ღირსია იმის, რომ ყოველი მამულიშვილის ოჯახში იყოს როგორც ქვირფასი განძი..."

"განსაკუთრებით ზეგავლენა მოახდინა ჩემზე თქვენი უანგარი ქველმო-ქმედების ამაღლებებების ფაქტის. რა თქმა უნდა, ასეთი რამ არც დაესიზრებათ გააკაცემიკოსებულ და გაგმირებულ მწერლებს — ერთსადმი სამსახური შემოსავლის წყაროდ ან პირადი განდიდების წყაროდ რომ გადაუქცევიათ".

ადრე კუთრითილდებოდი გამუდავნებას შევარდნაძესთან ახლო მდგომი პირის გვარ-სახელისას, ვაითუ რამე მოენისა-მეთქი, ახლა უშიშრად შემი-ძლია ვთქვა, ესაა ვლადიმერ ალფენიძე, რომელმაც თავის დროზე ვაჟა-ცობა გამოიჩინა და ნაბეჭდი სიტყვით ჩემს ნაშრომს — „სამიზდატი“ — „ამაღლებებელი ნაწარმოები“ უწოდა.

ასევე, ლევან სანიკიძე 1983 წელს დასტამბულ „რწმენა რწმენისა“-ში წერდა:

"კუთხია ბუაჩიძეს, ცონბილ მწერალსა და დრამატურგს, წლების მან-ძილზე საგანგებოდ შეუსწავლია ქართველი ხალხის გამრავლება—ჩამომრავ-ლებისა და აშენება—გადაშენების პირობლები, უგროვებია მასალები, უკვე-ვია, უჩირეება და დაუწერია წიგნი მართალი, რომლის წაკითხვა ქართველ კაცს (ვისაც შეგნების უნარი არ დაუკარგავს) თავზარს დასცემს, სისხლს გაუშრობს და გულს გაუყინავს, ხოლო მტერს აღტაცების ღმულს აღ-მოახდენს".

(სხვათა შორის, ჩემი გვარის და „შავი წიგნის“ ხსენებისათვის, რომელ-საც სახელმწიფო ცენტურა არ გაევლო, ვახტანგ ჭელიძემ, როგორც „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორიმა, სათანადო სიფიზზე გამოიჩინა და ლევან სანიკიძის წერილიდან ეს ადგილი ამოაგდო... ახლა კი პატივცემული ვახტანგი, რომელიც „პატარაობიდანვე“ მუდამ სამეთაურო ადგილებზე იმყოფებოდა, მემუარებს წერს იმის თაობაზე, თუ რა საშ-ინელება იყო წყეული საბჭოთა ხელისუფლების დროს ცხოვრება და მოლვაწეობა).

დიმიტრი ჭანტურიშვილი, მათემატიკოსი:

„...მართალია, თქვენ ამ ნაშრომს თავმდაბლურად წერილს უწოდებთ, მაგრამ სიმართლე მოგახსენოთ, მის ავტორობაზე... უარს არ იტყონდა ილია ჭავჭავაძე და ჩვენი დიდი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე კი თავის ჩრეულ ნაწარმოებებში პირველ ადგილს დაუთმობდა ამ პრეცინვალე ნარკევს.

თქვენი გონივრული წინადაღებები უსათუოდ დიდ დახმარებას გაუზიარებას ჩვენი ერის გამრავლებას.

ამ საკითხების მოგვარებას დიდი შემწეობა შეუძლიაპ შეუძლიაპ მაგ შევარდნაძემ, თუ, რასაკირველია, გულით მოინდომებს... და ნუთუ არ მოინდომებს? ნუთუ არ უნდა ძვირფას ედუარდ აბეროსის-ძეს, რომ სამუდამოდ უკვდავყოს თავისი სახელი?

ნაზი ჭედია, პოტე:

„ერი, რომელიც ამ ზომამდე მიიყვანს თავის თავს, ის არც არის სიცოცხლის ლირის: როგორც ჩანს, აქ მოქმედებს ბუნების შერჩევის კანონი...“

ბერნ მამალაძე, სამამულო ომის მონაწილე, მე-2 ჯგუფის ინვალიდი:

„მე ჩვერა, რომ ენერგიული და განსწავლული ჩვენი სამშობლოს პატრიოტი ამხ. შევარდნაძე დიდ ყურადღებას დაუთმობს ამ დიდ საერთო საქმეს და ბევრს გააკეთებს მის გამრავლებისათვის ისე, როგორც თავის დროზე გააკეთა გენერალი დე გოლმა...“

გენერალმა დე გოლმა კი ის გააკეთა, რომ ორმოც მილიონზე ათეული წლობით გაყინულ ფრანგებს შესხახა და მოუწოდა, მომეცით რაც შეიძლება მეტი ბავშვით და, რაკი ფრანგები ტყის ხალხი არ არის ქართველებივით, ომის დამთავრებიდან ათი წლის მანძილზე მილიონობით იმატა მისმა თანამემამულეებმა...“

შოთა წიგნაძე, ხანშიშესული კინომსახიობი:

„...ამ ჩვენი დიდი ეროვნული გასატირის დროს მთავარი მაინც ის არის, რომ ამ წიგნმა ჩვენი რესპუბლიკის ჭევიან და ენერგიულ ხელმძღვანელამდე მიაღწიოს. გაგონილი მაქებს, როცა მას მოახსენეს — შინაგან საქმეთა მინისტრობისას ერთი საზარელი შეკლებობის ამბავი, მომიყენეთო და შემახედეთ, ვინაა ამის ჩამდენი, კაცია თუ ნადირი...“

მთელი ერთი წლის წვალება დამტკირდა, რომ ჩემს წიგნს მიეღწია „ჩვენი რესპუბლიკის ჭევიან და ენერგიულ ხელმძღვანელამდე“, მაგრამ მან მისი დამწერის ხილვა, აბა რა გასაკირია, არ ისურვა. მ, ის რომ დაეწერა მასთან დაახლოებულ ლიტერატურის ღენერლებს, მაგალითად, ნოდარ დუმბაძეს ან გრიგალ აბაშიძეს, ანდა ირაკლი აბაშიძეს, მაშინ, იცოცხლეთ, მათ გულისტყივილს გულთან ახლოს როგორ არ მიიტანდა...“

მაგრამ, რას იზამ, იმათ გული არ სტკიოდათ, ყოველ შემთხვევაში სამისო რამ იმ ხანებში არც ტრიბუნიდან და არც პრესაში ეს ტკივილი არასოდეს არ გამოუთქვამო.

ამხანაგი შევარდნაძე დისტანტუად მიწეულ კიტა ბუაჩიძეს კი, თავს, აბა, როგორ გაუყადრებდა, ამიტომ გურამ ფანჯიკიძეს დაავალა შეხმიანებიდა ამ ამბავს წერილით და ამით მოთავდა კიდეც წამოწყებული ბრძოლა ქართველი ხალხის მარად სახოცოცხლოდ.

საერთოდ, გადაქრით შეიძლება თქმა იმისა, რომ ამხანაგი შევარდნაძე და, რაც ბევრად უფრო სამწუხაროა, ბატონი შევარდნაძეც, ერის პირველი კაცი, როგორც ამას მისი მრავალწლიანი სახელმწიფო მოღვაწეობა

გვიჩვენებს, გულგრილად უყურებდა და უყურებდა ჯერ ერთ გამოწერა რანების, მერე კი მისი სრული ამონიდობის საკითხს.
თქმა არ უნდა, სახელმწიფოში მას უამრავზე უამრავი საფრთხოებულებები მოსავარებელი საქმე აქვს, მაგრამ მათ შორის პირველი საზოგადოებრივი ციტიური ხმი ის უნდა იყოს, რომ ქართველი შერჩეს ამ სამყაროს, გნებათ, თუნდაც იმიტომ, რომ

„რომელიმე ერთს გაქრობა აღარიბებს და ასახიჩრებს თვით კაცობრიობას“. (იაკობ გოგებაშვილი).

მით უმეტეს, რომ ჩვენი ერთს გაქრობა დიდ სიხარულს მოსვალის ჩვენს უახლოეს „კეთილ“ მეზობლებს — სომხებს, აფხაზებს, ოსებს, აზერბაიჯანელებს, რომლებიც უკვე კარგა ხანია დღეებს ითვლიან, ჩვენივე ნებით როდის გადავშენდებით...

რაკი სოჭყვას მოჰყვა — გადაშენებას, „შავი წიგნის“ დაწერიდან შევიდი წლის შემდეგ გრიგოლ აბაშიძემ, უკვე თანამდებობადაკარგულმა, როგორც იქნა, ხმა ამოილო ჩვენს უბედურებაზე. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით თავის ფრიად საინტერესო, საისტორიო ნაშრომში რევაზ კვერცხჩინდაქ:

„1986 წელს მწერალთა ყოლობაზე გრიგოლ აბაშიძის გამოსვლაში გაისმა წუხილი ეროვნულ სატურარზე:

„ჩვენი ხალხის დლევანდელ ყოფაში იმაზე საგანგაში არაფერია, ქართველობა რომ არ მრავლდება... თუ დროზე არ ეშველა ამ საქმეს, ჩვენ თავს თვითონვე გავუშმიადებთ იმ გადაშენებას, რასაც თემურ ლევგმა და შაპაბაშმა ვერ მიაღწიეს ცეცხლითა და მახვილით“.

ვფიქრობ, ეს იყო გამოძახილი მწერალ კიტა ბუაჩიძის 1979 წელს დაწერილი, შემაშფოთებელი „შავი წიგნის“, რომელიც, ხელნაწერად გამრავლებული, ისე როგორც ბეჭრ ცნობილ მოლევაშეს, მწერალთა კავშირის მაშინდელ ხელმძღვანელსაც გაუგზავნა ავტორმა. ეტყობა, იგი წაიკითხა გაბაშიძემ და სულით ხორცამდე შეძრა იქ მოტანილმა ფაქტებმა, მაგრამ ამ ხელნაწერი წიგნის აშეარად ხსენება მაშინ არ შეიძლებოდა, ავტორს თავის სიცოცხლეში მისი გამოცემის იმედიც არ პქონდა. მხოლოდ პლიტკურ ცხოვებაში მომზდარმა ცვლილებებმა გახადა შესაძლებელი „შავი წიგნის“ დასტამბვა 1990 წელს და... ძნელად დასჯერებელია, მაგრამ წიგნის ფაქტია, — ისე გავიდა წლები, მასზე პრესაში ერთი პატარა რეცეზიაც არ დაბეჭდილა!“

მეოთხეული, ალბათ, მიაქცევს ყურადღებას... „ჩვენი ხალხის დლევანდელ ყოფაში იმაზე საგანგაში არაფერია, ქართველობა რომ არ მრავლდება...“

კი, მაგრამ, ქართველობა 1979 წელს მრავლდებოდა? 1960-ში მრავლდა? 1970-ში?

ეს ამბავი ბეჭრად ადრე დაიწყო, გამრავლებას ვინ ჩივის, დაიწყო ისეთი სისტემატიურ კლება, რომ როცა „შავი წიგნი“ იწერებოდა, უკვე შეგვეძლო გვემსჯელა „დედისერთა საქართველოზე“ ჩვენი მტრების სასიხ-

არიულოდ, რომლებიც გარს გვარტყია და მოუთმენელი მოთმწინებით უღრდებიან, როდის დაისაკუთრებენ ქვეყანა-ნალკომის, რომელსაც უწულეულოს „საქართველო“ ერქვა... პირდაცმისას

ჩევნში სუტყვა „შესანიშნავი“, სხვათა შორის, „უდიდესისა“ არ იყოს, ხრულიად გაუფასურებულია, მას ხშირად დაბალი დონის რამერუმის ასამალლებლადაც დიდის ამბით გვიცნობენ ხოლმე, შესანიშნავიან.

ო, მართლაც შესანიშნავია შარშანდელ „ცისკრის“ ნომრებში დაბეჭდილი, უდრიოდ გარდაცვლილი გორგი ბაქანიძის „გზადაგზა“, რომელსაც არ ვიცი რა დავარქვა — განსჯა თუ მოგონებანი, და რომელსაც, სხვათა შორის, არც ერთი რედაქტორი საქართველოში (არ ვგულისხმობ მოყვითალო პრესას) შეუმოკლებლად, ადგილების ამოუგდებლად, განსაკუთრებით ჩვენი დროის ქართველ მწერლებს რომ ეხება — დაბეჭდავდა, ზაურ კალანდია კი, „ცისკრის“ რედაქტორი, არაფერს და არავის არ მოერიდა და გამოაქცევნა ხელუხლებლად.

საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო რამდენიმე ამინანერთ „გზადაგზიდან“ გორგი ბაქანიძის ნათელი გონების საილუსტრაციოდ, რისთვისაც მკითხველს ვთხოვ ყურადღება მიაქციოს, რომ ყოველივე ეს დაწერილია თითქმის ოცი წლის წინათ, 1979 წელს:

„საგანგებოდ ავიღე საქართველოს რუკა, ალენიშვილი — რა დარჩა ნამდვილად ჩევნი და რა — ეშმაკისა; ძალზე მძიმე სურათი გამომივიდა: გარუსებული აფხაზეთი, გარუსებული ჩრდილოელი თანამოძმებისკენ ბრიყვალად შინრალი საშირეთ რსეთი, რომელმაც, ჩრდილოეთისაზე ბევრად მეტად წაც შეინარჩუნა თავისი, სკოლაც, კულტურაც; სომეხთავან უბრძოლველად შემომტკიცებული მესხეთ-ჯავახეთი, ქველ საბარათიანოში გალალებული და უკვე თბილისს მომდგარი აზერბაიჯანი“. აზერბაიჯანი

„სხვის მიწაზე დამკვიდრებულ ხალხს, ხიზანს ძალაც მეტი აქვს, რადგან გაუცნობიერებლად იცის: ყველაფერი უნდა იღონოს და გაისაცხოვრისოს სხვის მიწა-წყალი, ამას კი ბევეგით შრომა-გარევით, გამრავლებით, ერთპირობით, ერთსულოვნობით მიაღწევს... ამბობენ, სომხეთიდან დაძრვებიან ემისრები, ხალხს სათანადოდ მოძღვრავენ...“

„ამ სომხებს, ალბათ, მერე და მერე აზერბაიჯანელებიც აცყვებიან, ჯერ კი აშეარად არაფერს ითხოვენ, ჩემად არან, უკრატიულიზიოდ, მაგრამ გაცხოველებით აკეთებენ საქმეს: უკვე მოიაღლაფეს ბარაქი იანი ქართული მინე მინე ბი. ხელში მოიგდეს გარდაბნის, ბოლნისის, მარნეულის რაიონები, შევიდნენ კახეთში, შიდა ქართლში, მოადგნენ თბილისს, რაღა მოადგნენ — უკვე თბილისში არაან“. აზერბაიჯანი

ამ „ჩუმა, წყნარმა“ აზერბაიჯანელებმა 1990 წლის შუალედში, გუმბარიძის დროს, როცა ჩევნში „ეროვნულმა“ მოძრაობამ ქუჩებში მიტნებოდა და მიკროფონ მეგაფონების კავანთ ზენტრს მიაღწია, ატროკდა და ხელი გაიღო ქვემო ქართლში შცხოჭებმა „უტყვია“, „მემწვანილე“, აზერბაიჯანელებმა და... „თავის მხარისათვის“ აკეთონმია მოითხოვეს! მაშინ უკრ მიიღეს, უკრც ახლა მიიღებენ, ვიდრე ჩევნი პრეზიდენტები, შევარდნაძე-ალიევი, მეგო-

ბრობენ, მაგრამ როცა ისინი აღარ იქნებიან და ჩვენც, ქართველები, „ნახევარი ბავშვის კეთებით“ ნოლამდე დავალთ, მაშინ?! • ურავულებელი დასხ, ჩვენ, ქართველებს უალრესად საგანგაში შოდ გჭმულებულებელ მაგრამ ვტეხთ განგაშს კი? თქვენც არ მომიკვდეთ, ვითომც აյ არაფერი, მთავარია, თურმე, აფხაზეთისა და „სამშრეოს ოსეთის“ ნომინალური შემო-ერთება საქართველოსთან, და თუ ამას მივაღწიეთ, შეგვიძლია თავი ტკბილ ძილს მივცეთ...

ბრძოლის ველზე მყოფი ქვეყნის მეთაური ედუარდ შევარდნაძე 1992 წლის სექტემბერში არაერთხელ შეფორმებული გვაფრთხილებდა, საქართვე-ლოს ბედი სოხუმში წყდებაო...

არა, მაშინაც და ახლაც საქართველოს ბედი თავად საქართველოში წყდებოდა და წყდება, და გადაწყდება იგი, აღარ, შედარებით სულ მალე საქართველოს დაცემით, თუკი... თუკი ვიომებთ ისე, როგორც ვიომეთ აფხაზეთში, როცა ეს ომი სულაც არ იგრძნობოდა არათუ საქართველოს რომელიმე კუთხეში, თვით თბილისშიც კი, — ტელერეალამა დუბაიში გასამგზავრებლად დღეში სამჯერ გვეპატიუებოდა თავგამოდებით...

ასე განსაჯეთ, ეს ომი თვით იმის ცუნტრშიც არ იგრძნობოდა — გალში; თოფი არ აიღოთ, აფხაზები თქვენ ხელს არ გახლებენო, აშშივიდებ-და გალელებს პრეზიდენტობაზე თავგადაყლული „მნერალი და მეცნიერი“ ზეიად გამსახურდია.

როგორც ყოველთვის და ყველაფერში, აქაც შეცდა გამსახურდია: საქართველოსთან საომარი მოქმედებისას უარალო, გულარჩენ გალელებს აფხაზებმა და, მათზე მეტად კი, ბაგრამიანის სახელობის ორ ბატალიონად შეერულება სომხებმა ისეთი შავი დღე დააყენეს, რომლის შეგავსი გენოციდი არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას, და ეს გააკეთა „ერთმა მუჭა ხალხმა“, როგორადაც, როცა „ქმურად“ ვცხოვობდით, ასე ვისენიებდით ხოლმე, ნუ ვაწყენიებთ, ცოტანი არიან, „დინამის“ სტადიონზე რომ დაეტევიან, იმდენ-იო, გამსახურდია კი...

ნათევამია, კანონი. უნინარესად მისი გამომცემელი უნდა იცავდესო, ამაზე პრეზიდენტმა გამსახურდიამ თავის პრემიერ-მინისტრს თენგიზ სიგუას ერთხელ ლუ მეთობებულებისავით მოკლედ მოუქრა:

— ეს მე ვარ კანონ!

პოდა, „ეს მე ვარ კანონმა“ გამსახურდიამ ერთხელ დაიმუქრა კიდევ, ჭუკო იყვნენ, თორებ ჩავური ყველა მათ საბარევო მანქანებში და გადა-ზეუკავო აფხაზეთს იქნა. მერე კი, ექსპრეზიდენტობისას, გროზინში „ნასხავ-ლი“ აფხაზურით, მათი გულის მოსაგებად და შევარდნაძის გულის გასა-პობად, აფსუებს აფსუურად მიმართა, რომლის აზრის გამოტანა იმგვარად შეიძლებოდა, რომ მეც თქვენთან მიგულეთო...

ერთი აფხაზი არ მოერიდა ეთქვა, სამი თაობა ემზადებოდა ამ დღისთვისო, ესე იგი ქართველების ამოსახოცად... (სხვათა შორის, ამ სამი თაობის სკულპტურის მანძილზე აფხაზეთის „უაგებეს“ მუდა ქართველები

ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ ამ „შეთქმულების“ ზედაპირულ კვალიტეტ ცალ მიაგნეს).

შეგავსო გენოციდი, რაც აფხაზეთში, არძინბას მეთაურულობისა და უფლებების მიმართ, ვიმეორებ, მეორე არ მოიპოვება მსოფლიო ისტორიაში, ჩვენ კი ვდუმევართ, ვდუმევართ, შეიძლება, წინასწარ განზრახვით და ველოდებით დროს, როცა აფხაზეთს ტერიტორიულად შემოვიყრობთ, მა-გრამ ვაითუ იმ დროისათვის ეს ცხელი გული გაცივდეს და სამართლიანი შურისმიერის ცეცხლი საერთაშორისო დაწიაშვის არძინბას და მისი ხროვის წინააღმდეგ ფერფლად იქცეს...

„1993 წელს აფხაზმა და სომებმა „ბოვევიებმა“ ჩემი და ჩემი შეიღის სახლებს, ორვეს ცეცხლი წაუკიდეს. თვალწინ მომიჯლეს ჩემი ძმა ამირანი. პირუტყვი წაასხეს ჩემი და წავიდნენ, — ცრებლმორიული იგონებს ზევე ჯალალონია“. („საქართველოს რეპუბლიკა“, 3.05.98).

დიარ, აფხაზეთში ორი სომხური ბატალიონი იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ. სომხები, როგორც თვითმშობლები გადმოგვცემენ, ქართველებს უურო დაუნდობლად და მხეცურად უპყრობოდნენ, ვიდრე თვით აფხაზები და ჩეჩენები.

1995 წელს მე ენერდი:

„...და როცა ეს ჩემი შიში ვორონოვისთვის შზის, აფხაზურად, მგონა, ამრას სამარადეამოდ დალაშების საქმეში ქართველის ხელი ხომ არ ურევია-მეთქ, და ეს ეჭვი ჩემს ერთ მეგობარ ქალს (მ.კ.ს) გავუზიარე, მან წამსვე დაამაშვერდა, ამის შემ ჩვენი დროის ქართველებს, აბა ვინ მიხცა, ისინი მხოლოდ ერთმანეთის კვლაში არიან ყოჩალებიო, თან ესეც დაამატა, აფხაზი განა მოკლავს აფხაზს, ან ჩეჩენი ჩეჩენს, ანდა სომები სომებს?! ჩვენ კი, ისედაც გადაშენების გზაზე შემდგარი ხალხი, მუსის ვავლებთ ერთმანეთს და... ერთს ამაზე უარესი დეგრადაცია განა შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა წარმოიდგინოს?! გარეშე მტრების გარჯოლობა ჩვენდა ამოსაძირკვავად, ვითომ არ იქმარებს?!”

ჩვენს პირობებში მყოფთათვის შედარებით ჩინებულად ინფორმირებულ-მა და, საერთოდ, კარგმა გაზითმა „კავკაზიონმა“, დროდადრო პირველ გვერდზევე რომ შეგვახსენებს ხოლმე, „გვახსოვდეს აფხაზეთი!“, ამ ბოლო ხანს თავისი არაერთი ნომერი მიუძლევა საქართველოს პირკურატურის მიერ აფხაზეთში ქართველების გენოციდის მიკვლეულ ათასობით ფაქტს... ამ ზღვა საბრალდებო მასალიდან მხოლოდ ორითდეს მოვიყვან სანიმუშოდ:

„ინგზა კვარაცხელიას (გულრიფში, სოფ. ფშავე) ჩვენებით სომები ეროვნების ფშავში მცხოვრებ ბარბუქს შედგენილი პქონდა ქართველი მოსახლეობის სხები, დადიოდა აფხაზებთან ერთად ქართველთა ოჯახებში, უნვავდა სახლ-კარს, ანადგურებდა ოჯახებს, მის მიერ მოკლეული იქნა ფშავში მცხოვრები 60 წლის შექრი ქობალია და მისი მუსლინე, რომელსაც გამოჭრა ყელი.

სომები ეროვნების კბილის ექმმა, სახელად ანდრეიმ, ყელი გამოჭრა ექმ აკაცი სიჭინავას და მის ძმას, რომელიც მუშაობდა რეპუბლიკურ

სავადმყოფოში. ანდრეე ცხოვრობს სოფელში თბილისს გზატკუპიჯზე /
სომხების დასახლებაში".

ჩვენი „ძმების“, ღორებისათვის ყელის გამოქრაზე დიდად და დამატებილი შეგვისა ასობით შეგვიძლია ამოვინეროთ რეცუპლიკის პროკურატურის საგამომხმობ
ტომებიდან, რაც, „სხვათა შორის“, ზედმინევნით აღწევდა ერვენში სომები
ერისკაცების ბუნებრივ სასმენ აპარატებამდე, მაგრამ არცერთ მათგანს, არც
რომელიმე მღვდელმთავარს და არც სილვა კაპუტიკანს (ადრე ახალქალაქ-
ში სისტემატურად რომ ჩამოდიოდა და ამხნევებდა და მოუწოდებდა
თავისიანებს, კიდევ უფრო გამრავლდით) და არც ქართველოლოგ პარულ
მურადიანს და არც საგარეო საქმეთა მინისტრს ფაფაზიანს, ამას ნინათ
„ნებავისმიანა გაზიტა“-ში არცთუ შენიბრულად რომ დაგვემუქრა, არც
წერილობით და არც საჯაროდ, ენით უთქმელი ეს შეცური ანტიქართული
ერის „შემამკობელი“ სხვა „ღირსებების“ ათობით ჩამოთვლა სულაც არ გამიქირდებოდა, მაგრამ ეს შორს, ძალზე შორს წაგვიყვანდა, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ტყის ხალხი, და თუნდაც ჩევნი დროის ველურობა, იმას როდი ნიშნავს, რომ მართლაც ტყეში ცხოვობდე, — არა, ამაში ხალხის ზენობრივი, მორალური მხარეა ნაგულისხმევი, ამ შერვ კი დიდი უბედურება გვჭირს, და ეს არაა ის, რაც ახლა არასაპატიებელ ნიპილიზ-მად რომ საღდება ხოლმე...

აბა ერთი მიბრძანეთ, განა ილია, აკაკი, ვაჟა, როცა მათ ქართველებ-ისათვის ახეთი ზარდამცემი განაჩენი გამოპექონდათ, სიზმარშიც კი იხ-ლავდნენ იმას, რასაც სულ ახლახან გენერალური პროკურორის მოადგილე შეგვატყობინა? აბა, გაეცანით:

„...საერთობლად იმატა არასრულ წლოვანთა მიერ ჩადენილმა მქინე დანაშაულობებმა. მაგალითად, არის განზრას მკვლელობების (III), სხეულის განზრას დაზიანებების (Ib), ყაჩაღობების (II), ქურთობების (420), სულიგნობის (21), ავტომანქანების გატაცების (35) და ნარკომანის ფაქტების ზრდა“. („საქართველოს რესპუბლიკა“, 10.02.99).

და ყოველივე ეს ერთ წელინადში... განზრას მკვლელობათა თერთმეტი შემთხვევაო... ჩადენილია თითქმის ბავშვებისა და მოზარდების მიერ... თუნდაც „ტყის კაცი“ იყავი, ნუთუ გული არ გაგეყინება და ნუთით მაინც არ ჩაფიქრდები, რა თაობა გვეზრდება...

კი, ახეთი შემაშფოთებელი სტატუსტყა, რა თქმა უნდა, ჩევნი დროის საერთო გაჭირვების შედეგიცაა, მაგრამ... სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ რომელიმე ყოფილი საბჭოთა რესპუ-ბლიკა შეძლებს კი „დაიტრაბახოს“ ახეთი შემამრნუნებელი მონაცემებით!?

პოდა, შენო, ბიძა ხარ თუ ბაბუა, რავა გაბედე და ჩევნ, უუდიდეს და უუძველეს კულტურისა და უუძველებელი ცივილიზაციის მქონე ხალხს, ტყის ხალხი რაფერ გვიწოდე, ეგ სიმურალე მაინც რა პირიდან ამოგვი-დაო...

აბა, სხვა რა მეტქმის, გარდა იმისა, რომ... „შევცდი, ბატონო, შევცდი და მომიტევთ...“



ისიც უნდა „მექატიოს“, რომ, გურამ ბენაშვილის თქმით, ჩემი „აღმფუოთებისა და გაღიზიანების „საგნად“ დიდი ქართველი უწყებულებების გის პოლიკარპე კაკაბაძის სიკვდილის შემდგომი პოზიციაზე მომდევნობა“.

გავეცნოთ მისი ბრალდების მეორე პუნქტსაც:

„პოლიკარპე კაკაბაძეს გენიოსად მოიხსენებენ თუ არა, ამით გაღიზიანება შეერლისაგან, უფრო კი ფრამატურგისაგან ძალზედ საეჭვო გაღიზიანება... და ყოველივე ამის მიზეზს სხვა სახელი ქვია...“

ავტორი, როგორც ჩანს, სულ არ მიმეტებს და, ალბათ, ჩემდამი ერთგვარი პატვისცემის ნიშნად პირდაპირ არ ასახელებს, „რა ქვია ამას“, მაგრამ მე მას გავუადვილებ, რომ დაასახელოს: ამას შური პექია, რომელზეც ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ, ახლა კი...

„სკვედილისშემდგომი პოსულარიბა“, თუ ამ საკითხს არ მივუდგებით პრატისონრულად და მივუდგებით პორფესორულად, იგი პოლიკარპე კაკაბაძეზე სულაც არ კაცელდება, ის პოსულარული იყო ყოველ დროში, ასე რომ, ლიტერატურის ინსტიტუტის თავკაცს მორდებით უნდა ვაუწყო, ასეთი პოსულარიბა (სკვედილისშემდგომი) ამ საუკუნეში მხოლოდ ორად ორმა პიროვნებამ მოიპოვა საქართველოში, ორივე ლირისეულმა, სიცოცხლეში რომ არ იყვნენ ლირისეულად მიწინეული და დაფასებული: ერთი მათგანი ფიროსმანია, შეორე — ტერენტი გრანელი, რომლის ცხედარს პეტრე-პავლეს სასაფლაომდე ათოდდე კაცი თუ მიაცილებდა, ფიროსმანს კი, იმავე პეტრე-პავლეს სასაფლაომდე, საერთოდ, მიჰყებოდა კი ვინჩე? ეს არავინ, არავინ არავინ არ იცის.

არადა, ლირს განა საუბარი იმაზე, განსაკუთრებით მასთან, ვისაც იმ განვლილ დროში უცხოვთა და ახლაც ახსოვს, თუ რა პოსულარიბით სარგებლობდა თეატრალურ წრეებში და თეატრის მოყვარულ, პორფესონ-ალ მაყურებლებში, ცოცხალი კლასიკოსიაო, ეს მისთვის უბრალო ხალხს კი არ შეურქმევია, უბრალო ხალხი თუნდაც თეატრებში სისტემატურად დადიოდეს, დრამატურგს, შენ გინდა კიტა ბუაჩიქ იყავი, გინდა ზურაბ ანტონოვი, გვარით, შექსირის გარდა, არავის არ იცნობს...

სხვათა შორის, მე, როგორც დამატურგი, გვარიანი ვარ თუ უგვანო, მანც დავალებული ვარ, როგორც უმცროსი თაობის ნარიმომადეგნელი, არა მხოლოდ პოლიკარპე კაკაბაძისაგან, იმავე ზურაბ ანტონიოვისგან, აქესენტი ცარაგელისგან, ტრიფონ რამიშვილისგან, ნეკ შეიუკაშვილისგან, შალვა დადიანისგან, სანდრო შანშიაშვილისგან...

(დიახ, თუნდაც ერთ-ერთი ამათგანი ასეც წერდეს: „მე ბაგე დავხურე“, „თავს აქნევს უარის ნიშნად“ (აბა ვინ არ იცის, სულაც არამნერალმაც, რომ ხურავნენ კარებს, ბაგეს კი კუმავენ... უარის ნიშნად თავს გააქნევენ, თანმობის ნიშნად კი — თავს აქნევენ...).

ასეა თუ ისე, დღესაც და მომავალშიც, რა ბედიც არ უნდა ეწიოს თეატრში „ყვარყვარე თუთაბერს“, როგორც პეტას, ხალხის მებერებაში და სალაპარაკო ენაში პოლიკარპე კაკაბაძის ყვარყვარე, როგორც

ზოგადი ტიკი, ისე, როგორც ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თამაშობები, მიხეილ ჯავახიშვილის კვაჭი და ჯაყო, დავით კლდიაშვილის ფარავანი, ჭავჭავაძისა, ჭაბუა ამირეჯვიბის დათა თუთაშია, სამუდამოდ შემოტკიცის მქონე კურის, კერძოდ, ქართული ლიტერატურის ისტორიაში ვებეროთელა არძვია.

...დიახ, პოლიკარპე კაკაბაძის „სოკედილისშემდგომი პოპულარობა“ თუმცა ცა გალიზიანებთ, მაგრამ მაინც, დრამატურგმა დრამატურგზე ავის თქმა არ უნდა იკადოს... ზუსტად ასე შემძლევას მე პატივცემული გურამ ბენაშვილი, და თუმცა ახლაც ზეპირად მახსოვს ფრანგი დრამატურგის, „სირანი დე ბერენერაჟის“ ავტორის, ედმონდ როსტანის სტრიქონები:

„Какой же драматург не рад,

Когда спектакль срывается у коллеги“,

მე მაინც გავეძეავ და ყველას გასაგონად ვიტყვი, თუმცა ისიც ვიცი, რომ ამას, ახლო ნაცნობ-მეგობრების გარდა, არავინ დამიჯერებს, — ჩემში არავის მიმართ არავითარი შერი არ ბუდობს, მე ყველა ქართველის კაცური წარმატება, მისი მოღვაწეობა რა დარგსაც არ უნდა მოიცავდეს, კაცური წარმატება, მისი მოღვაწეობა... ასე განსაჯეთ, ჩემი, როგორც დრამატურგის, „მოყველთვის მახარებს... ასე განსაჯეთ, ჩემი, როგორც დრამატურგის, „მოსისხლე დუშმანების“, თემურ ჩეხიძისა და რობერტ სტურუას, როგორც ქართველების, თეატრალური წარმატებანი, განსაკუთრებით საქართველოს საზღვრებს გარეთ, ყოველთვის სხიარულს მგრის... და საერთოდ, მე რომ ბოლმით აქსილი ადამის შეილი ვიყო, რაც ცხოვერებაში წამება გადამიტანია, ამ ასაკამდე, ტყულია, ვერ მოვალეოდი. ისე კი, მთელი ჩემი სიცოცხლე ერთი ძველი აფორისტული თქმის, პლატონისა და ჭეშმარიტებას რომ ეხება, მისი მიმდევარი ვიყავი და ვარ, ამიტომაც ავის მსურველები, მაძაგრებლ-მაგინებლები ყოველთვის გარს შეხვია და მახვევია ახლაც...

(ბოლოდროონდელი ფაქტიც ამის დამადასტურებელია;

გაზეთ „ახალი საქართველოს“ რედაქტორის.

ბატონი ნოდარ!

ჩემი წერილ-მიმართების საბოლოო აქორდი წარსულ ხუთშებათს გაიქდება, რისთვისაც ახლა შესხევერ მაღლობას გიხდით; თქვენ ხომ ისე დაბეჭდეთ, როგორც დამინერია; უფრო მეტიც: ბეჭდვის პროცესში, ტექსტში, ყველა ჩემი შესწორება უკლებლივ შეიტანეთ, ამისთვისაც, რასაკვირველია, მაღლობა, მაღლობა!

მერნმუნეთ, მხოლოდ თვალი გადავავლე, დავკირვებით არც წამიკითხ-ავს ალხაზიშვილის ჩემდამი „მოძლვილი“, ქუთური ლანძლვა-გინებით ალ-სავეს „მოგვერდი ლექსით“ („ახალი საქართველო“, №9).

არ ვიცი კი, ამით აეტორიმა რა მოიგო, ეს კა, გამოჩენდენ ადამიანები, მათ შორის თქვენი ახლო ნაცნობებიც, რომლებიც მირევავნ და თავისებურად მამშვიდებენ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ, არ ინერვიულოთ, ხალხმა, რომელმც ილია ჭავჭავაძე მოკლა, დღევანდელი მისი წარმომადგენელი თუ სიცყვით მოკვლას დაგისრებთ, არ უნდა გაგიკერდეთ, ისე კი, ეს პოეტი ალხაზიშვილი მაინც რა მუტრუე, რა ტუტუცი, რა ჭუამოკლე ყოფილაო-ერთმა, ისტორიის ნამდვილმა დოქტორმა, ასეც მითხვა, ანი ამ გაზეთს

აღარც წაეკითხავ, ოლონდ მასში თქვენი რამე თუ გამოჩენდება, წერილი ბინეთ და იმ ნომერს ვყიდდო...

ო, ახლა ამ ციცქა წერილს გვერდნითელზე და მის მთავრულებულებების ტორზე იმიტომ როდი გვიზავნით, რომ „ის“ ნომერი იყიდონ, მე ის კარგა ხანა დაწერილი მაქს და თქვენთვის ისეც ვაპრებდი გამოგზავნას, ოლონდ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ჩემი პასუხი ანზორ თოთაძისადმი დაბეჭდებოდა; მე ეს პასუხი მოთავებული მაქს, მაგრამ უსახსრობის გამო მანქანზე გადაბეჭდა გვიანდება, არადა, შეუძლებელია „გვერდნითელისა-თვის“ სხვა დროს უკეთესი დრო გამოინახოს: აღსაჩიშვილმა, ყოველგვარი ლიტერატურული ეთიკის გარეშე, ლაფში ამომთხვარა და ამ ლაფს ამ პატარა წერილით ცოტათი მაინც ჩამოვირცხავ... ალბათ დამეთანხმებით, იგი დაწერილია ზრდილობისა და თავაზიანობის ფარგლებში.

ერთი თქვენი წერილი, რომელიც 1997 წლის ივნისში გამოგზავნეთ, ასე მთავრდებოდა: „სიყარულით თქვენი ნოდარ გრიგალაშვილი“. პოდა, მას შემდეგ თუ არ შეგძლიდოთ (რის საბაბი თითქოს არ მომიცა), ვფიქრობ, ამას უძველად დაბეჭდავთ...

მოკლედ, დაბეჭდავთ თუ არ დაბეჭდავთ, პასუხს თოთაძისადმი მაინც მოგანედით.

კოტა ბუჩქიძე
7 მარტი, 1999 წელი).

მე, როგორც მოგახსენეთ (თან ფიცი დავდე), უდროობის გამო (მადლობას შევუთვლი უფალს, ცოტას თუ კიდევ დამაცლის და თქვენდამი ამ წერილს დამამთავრებინებს!), არავითარი სურვილი არა მაქს ჩემს მოვაწერებს შევეპასუხო და...

ო, ბედიც ამას შევიარო, რომ იტყვიან, ბედი თვითონ არ მოადგა ჩემი ბინის ფანერის კარს?! ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელსაც წაეკითხა მანანა კაკაბაძის „სოცრეალისტის უზნეო „ეპისტოლე“ („პაზული ენითაა დაწერილი, პროფესიონობისა არაფერი ატყვას რა“, ეს მისი სიტყვებია), მომართვა „ლიტერატურული საქართველოს“ 1996 წლის 9 აგვისტოს ნომერი, სადაც ფრიად გამოსაჩინ ადგილზე, თანაც „პადავალში“, მოთავებულია ჩემთვის, საერთოდ, სრულიად უცნობი შალვა ცისკარშვილის რეპლიკა-შეძახილი — „ეგნიოსების სწორულებარი გმირები?“, რომელიც ისეთი გონიერებანს მჯელი სილალით და ლოგიკური დასაბუთებით არის ჩამოგირისტებული, რომლის დარს, მე — „მცოცავი“, ვერასოდეს თავს ვერ მოვაბაძი.

იგი მცირე მოცულობისაა და მომყავს აქ, რასაკვირველია, ხელშეუხებლად (ჩემი მასში მარტოოდენ ხაზგასმებია და ერთადერთი კითხვის ნიშანი):

„ახლახანს გამოვიდა უურნალი „თეატრი და ცხოვრება“ №3, რომელიც მთლიანად მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი დრამატურგის პოლიკარისე კაკაბაძის დაბადების მე-100 წლისთავს. უურნალში დაბეჭდილია მანანა კაკაბაძის წერილი „ყვარცვარე თუთაბერი“ და „ლომიანე“ — ერთად იღებედება“.

ამ წერილში ჩვენი ყურადღება მისიჭრის აკტორის განსაკუთრებით თამაშმა განცხადება. აი ისიც: „ყვარყვარე თუთაბერით“ და „შემოსილი მოლექსე კაკაბაძე, როგორც დიდი კომედიოგრაფი, მარჯვებით ექსპერტის შემოქმედი, გენერალი მწერალი. მისი სული აյ ეზარია იმ დიდ ღვთაებრივ საიდუმლოს, რომელიც გენერალთათვის ისნება და რომელიც მარადიული ნათლის განუყოფელი ნაწილია.

დღეს ალარ არის სიახლე თქმა იმისა, რომ ყვარყვარე თაუთაბერი თაგანად უმშვიდეს მხარს სერვანტების დონ-კიხოტს, მოლიქისა და შეძაბირის სწორშევარ გმირებს.

პოლიკარპე კაკაბაძეს სიცოცხლეშივე უწოდებდნენ კლასიკოსს, მაშინ ამ ტერმინს ადგილად არ იყენებდნენ. მეოცე საუკუნის ცოცხალ მწერალთაგან საქართველოში მას არავისოთვის იმეტებდნენ. პოლიკარპე კაკაბაძეს „ცოცხალ კლასიკოსს“ უწოდებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ იგი განიცილდა მუდმივი დენარებისა და შევიცროვებას (?) სრულიად გასაგები მიზეზების გამო“.

საოცარია, მაგრამ ფაქტია!

პირველი შემთხვევა როდია, როცა პოლიკარპე კაკაბაძის ქალიშვილი, პროფესორი მანანა კაკაბაძე ვერავითარ უხირხულობას ვერ გრძნობს და განიოსს, მსოფლიო მიმდვინარების შემოქმედის უცოდებას თავის გამას — მისი აზრით, თურმე ყვარყვარე თუთაბერი თბიამად უშვევებს მხარს „სერვანტების დონ-კიხოტს, მოლიქისა და შეძაბირის სწორუბოვარ გმირებს“.

ქვირფასო რედაქცია!

„ლიტერატურული საქართველოს“ შეითხველებს დიდი თავსატენი გაგვინდდა. როგორ დავადგინოთ სიმართლე, სწორუბოვარი ყვარყვარე თუთაბერი, მართლა უშვევებს მხარს სწორუბოვარ პამლეტს თუ ეს მხოლოდ მანანა კაკაბაძის დიდი სურვილია?

გართლა გენიოსი პოლიქაროვ კაპაბეძე?

თუ ესეც მხოლოდ ახირებული სურვილია, რომ შეილს გენიოსი მამა ჟყავდეს?

„ცოცხალი კლასიკოსი“ და „გენიოსი“. ამ ტერმინებს მართლაც რომ ადგილად იყენებენ დღეს.

შეტისმეტი რეტისრეტიო! უთქვამს ქართველ კაცს.

შალვა ცისკარიშვილი.

საქართველოში, ო, რა ბევრს უყვარს ჭყუმპალობა და ყურყუმალი პროექტიალიზმის ჭაობში!

მოდით, თვალი მაინც გადავალოთ, ბოლო დროს როდის და რამდენჯერ დაიდგა ჩვენი გენიალური დრამატურგის ქმნილებანი (ცნობები მონადებულია თეატრების მიერ), თანაც ისე, რომ არავის არ ეწყინოს, ყველას მოვიხსენებ, როგორც...

„ყვარელურე თუთაბერი“ რუსთაველის თეატრში დადგა გენდალურმა რეჟისორმა დიმიტრი ალექსიძემ 1959 წელს, ყვარელურეს თამაშობდა გენდალურის ერთს მანჯგალაძე, წავიდა 57-ჯერ.

„კოლეგურნის ქორწინება“ რუსთაველის თეატრში დადგა ჟირზალევია რეჟისორმა მიხეილ თუმანიშვილმა 1971 წელს, წავიდა 48-ჯერ.

„ყვარელურ“ რუსთაველის თეატრში, ავტორის „სკვდილაშემდგომი პოპულარობის“ მერმე, 1974 წელს დადგა გენიალურმა რეჟისორმა რობერტ სტურაშვილი, ყვარელურეს თამაშობდა გენიალური რამაზ ჩხიცვაძე, წავიდა 61-ჯერ (სტექტაკლში, სხვათა შორის, ბეჭით არაფერ დარჩენილა დრამატურგის პირველ წყაროდან, ამისათვის მის „გასამდიდრებლად“ დაიხმარეს... ბერთოლდ ბრეხტი).

„კაბაბერის ხმალი“ მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა გენიალური რეჟისორის გიგა ლორთქეთებინის მიერ 1965 წელს, წავიდა 70-ჯერ (შემდეგ თეატრის ნანილი რუსთავში გადავიდა, იქ კი რამდენჯერ დაიდგა, ამის ცონბა არა მაქვს).

„სამი ასული“ მარჯანიშვილის თეატრში, რამდენიმე თვით ადრე ავტორის სკვდილაშემდე, დადგა გენიალურმა რეჰისორმა მედეა კუჭუქიძემ, წავიდა 12-ჯერ.

„ლისაბორის“, ახლებურად კი — „პორტოპოლოს ტუსალები“ მარჯანიშვილის თეატრში დადგა 1994 წელს იმავე გენიალურმა რეჰისორმა კუჭუქიძემ, წავიდა 12-ჯერ.

აქ ლაპარაკია, რომ სტექტაკლი ამდენჯერ და ამდენჯერ წავიდათ, მაგრამ ეს იმს არ ნიშნავს, რომ იგი ანშლაგებით მიღიოდა, ყველანი, ვიდრე მათ რეპერტუარიდან შეუხარებით ამოილებდნენ, ამაზე ბეჭით ადრე უმაყურებლო დარბაზებს ეთხოვებოდნენ.

ამავე დროს ოცი წლის წინათ დადგმული „ყავასის ცარცის წრე“ ხეთასევერაც წავიდა და „მიშლიგინობს“ ახლაც, და მას დიდად არც ნოდარ დუშბაძის „საბრალდებო დასკვნა“ ჩამორჩება.

ამტკიცებენ, რომ კომედია, საერთოდ, დროს ვერ უძლებს, მალე ძელდებათ. ამ აზრს, ნანილობრივ მაინც, მეც შემიღლია შევუერთდება მაგალითად, ჩემს ახალგაზრდობაში საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა თეატრში უსაშეველო წარმატებით იდგმებოდა შეკარისის „Чужой ребёнок“ (დადგეს რუსთაველის თეატრშიც ახმეტელის დროს), მერე კი, მას შემდეგ ათეული წლები რომ გავიდა, ზოგიერთმა რუსულმა თეატრმა, მათ შორის მოსკოვის სატერის თეატრმაც, ხელმეორედ დადგა იგი, მაგრამ... სადღა იყო ის სიცილ-ხარხარი, პირველად რომ ახლდა მას: მისი დაბადების „უმზა-არულების დღე ახლა, „სიბერეში“, თოთქოს პანაშვიდად იქცა. ასეთივე ბედი ენია კარგი რუსი მწერლის ვალენტინ კატიავის, თავის დროზე დიდად გახსნურებულ კომედის „Квадратура круга“-ს. ასეთივე ბედი გაიზიარა მარჯანიშვილის მიერ დადგმულმა შალვა დადიანის კომედიამ — „ყავალგულში“. პოდა, დროთა განმავლობაში, ვაითუ, ამ დღეში ჩავარდეს

„ყვარცუარე თუთაბერიც“, რომლის აკტორის ქალიშვილი მას მოღვაწეობს „ტარტიუფის“ გვერდით აყენებს (აგრ ახლა „ლიტერატურულ საქართველოში“ ნოდარ გურაბანიძის წერილში ამოვიკითხე, — მას მოსკოვში მწერლებულთა თეატრში უნახავს 1664 წელს დაწერილი „ტარტიუფი“ და დიდად აღტაცებულა, დას, დიდად აღტაცებულა ნამდვილი პროფესორი ნოდარ გურაბანიძე!).

რაკი სტუვა თეატრზე ჩამოვარდა, ბატონი ანზორ, გეტიუით, რომ ედურდ შევარდნაძეს, არც ცეკას პირველ მდივნობისას და არც ხანდაზ-მულობისას, ჩემი პესების მიხედვით დადგმული სტექტაკლებიდან ერთიც არ უნახავს, „ავი ძალიც“ კი, რომელიც მისი ზეალსვლის პერიოდში, 1977 წელს მარჯვანიშვილის თეატრში დაიდგა და, როგორც იტყვიან ხოლმე, გლეჯაზე მიდიოდა, 200 ანშლაგი გააეკთა და, ალბათ, მეტჯერაც წაედიოდა, თეატრის ახალ მოსულ ხელმძღვანელს (თემურ ჩხეიძეს) დაეცლა, არადა, ამ ბოლო თუ ნლის მანძილზე, მას ხშირად, თუ ტელევიზიონით აჩვენებენ, თუ რადიოთი გადასცემენ... ახლაც კი, პრეველ მარტს, რადიომ ერთი საღამოს დიდი ნაწილი მიუძღვნა რესთაველის თეატრში 42 ნლის ნინათ დადგმულ... არა, არ შემშლა, დას, 42 ნლის ნინათ დადგმულ „ამბავი სიყვარულისა...“

თქვენ, შეიძლება, თქვათ, შევარდნაძეს სადა აქვს იმის დრო, ბექტას-ლები ნახოსთ... ო, ეს მართალია, მაგრამ... როცა გული მიუწვდეს, ნახულობს კიდევ! მაგალითად, ამ სამირდე ნლის ნინათ მარჯვანიშვილის თეატრში ერთ პრემიერას დაესწრო და არა მარტო მოსაწონი სტექტაკლი მოინონა, ფართო სანოგადოებისათვის ხრულიად უცნობი, პესების აკტორი, როგორც ადამიანი, შეაქო, შესანიშნავი პიროვნებააო (ცნობა ამოლებული მაქვს „საქართველოს რესუბლიკიდან“).

დასტურ, თეატრთან დაკავშირებით მე, როგორც დრამატურგს, ავად მოსაცონარი ერთი ამბავი მასხუნდება: 1940 წელს მარჯვანიშვილის თეატრში თუმცა მიიღო დასადგმელად ჩემი „მკაცრი ქალიშვილები“, მაგრამ მის დადგმას, გაფორმებული კრუხივით, ახლად გამოჩეულ ნინილებს რომ ნინი ალენდა ხელოვნების კომიტეტის (ასე ერქვა იმ დროს კულტურის სამინისტროს) რეპერტურით, ანუ თეატრიალური ცენზორი, რომლის ვარს, ერთი მიზეზის გამო, არ დავასახელებ, არადა, მაშინ ისეც ჩემსავით ახალგაზრდა იყო, მაგრამ... მანვალა და რა მანვალა, მერედა, როსთვის? ამ პესებში კომკავშირისა და კომკავშირელების ხსნებაც არ არის, არადა, თითქოს საბჭოთა სტუდენტი-ახალგაზრდობის ცხოვრებას ასახავს...

ეს ადრინდელი მოგონებიდან, ახლანდელიდან კი... ამას ნინათ ერთი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში მგზნებარე კომუნისტი პანტელეიმონ გორგაძე გამოშაუბრებლის შეკითხვაზე, რას მოგონებით თქვენი ახალგაზრდობიდან, ბატონმა პანტელეიმონმა მოკლე უპასუხა „მკაცრი ქალიშვილებს“.

რა დაკავლო, ერთობ მესამოვნა: ხანმოთეულ კომუნისტ კაცს, თითქმის სამცოც ნლის ნინათ დადგმული, ყმანვილობაში ნანასი პესა დღესაც

აქსოებს და არ უთელის მას ნაკლად, რომ მასში კომერციური ერთხელაც არის ნახსენები...

პოდა, როგორ მირჩევთ, ბატონი ანზორ, ამის მადლობის ნებათ არ შეუყო თავი კომუნისტურ პარტიაში? „პარტ“ ასაკი ხელსუარის მინუტისა აკი ამ პარტიის წევრთა 99 პროცენტი...

„დავძერდი, დავჩაჩინაკდი,
წევრი შემექნა ჭალარა...“

ამ ცეკვის გულიდან თითქოს ნაკლებ გამომღიარე ორიოდე გადახვდა

გადახვევა პირველი:

დიქტატურებით... როგორადაც არ უნდა თქვან, ფაქტია: ფრანგომ ააყვავა ებანეთი, ამის პირველი ნიშანი თუნდაც ის არის, რომ მის სიცოცხლეშიც და ახლაც ებანეთში, ცხოვრების სიაფის გამო, ყოველ-წლიურად 18 მილიონი ტურქისტი ჩადის, თითქმის უფრო მეტი, ვიდრე ტურქისტის ტრადიციულად მიწინულ ქვეყნა — იტალიაში; პინძეტმა ეკონომიკურად ძალზე ჩამორჩენილი ჩილე გახადა ეკონომიკურად მძლავრ სახელმწიფოდ, აგრეთვე დენ სიაოპინმა დამშეული მილიარდიანი ჩინეთი, დროის მოკლე მონაკვეთში, დააპურა, ჩააცვა, დაახურა...

ნურც სტალინს დავივინებდთ: ათ-თორმეტ წელინადში კავ-სახნისანი საბჭოთა კავშირად წოდებული რუსეთი გადაეცია მსოფლიოში უძლეველს იმპერიად, მოიგო ხუთილიანი უძმინდესარები იმი და ქვეყნის ამ გამანაბანგებელი იმის შემდეგ მანც შეძლო მისი ფეხზე წამოყენება და საბჭოთა ხალხისათვის საცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად ყოველი წლის მარტში ყველაფერზე ფასებს უკლებდა, მაგრამ როგორც კი მიიცვალა, მისმა „თანმებრძოლება“ ეს ადამიანური წამოწყება უმაღვე ჩაკლეს.

სხვათა შორის, სტალინს ქებით იხსნებდნენ არა მარტო რუზველტი და ჩერჩილი, არამედ... მიტლერიც, რომელიც ამათ, რუზველტს მოსულელოდ, ჩერჩილს ტურად, სტალინს კი ვეფხვად თვლიდა.

კე, ჩევენ შევარდნაძეც ნეტავი იყოს დიქტატორი... დიქტატორი...

გადახვევა მეორე:

„ზეიად გამასახურდის ხელისუფლებას კრახი არ განუცდია!“

„სხვათა შორის, მანანა არჩევად ეროვნულ მოძრაობაში ძალიან დიდი მოლვანეა; ის რომ არა, ვერავინ გაიგებდა, რატომ აპატიმერებდნენ ზეიადს, ანდა... დღეს კი გაიძახან, არჩევად დღელამ პარლამენტში იჯდაო. ვერ გავიგე, რატომ არ უნდა მჯდარიყ? ეს კი არადა, იმასაც ამბობენ, მანანა განაგებდა რესპუბლიკას და არა ზეიადო. ამის თქმა როგორ შეიძლება!“

„ერთი რამ გვავინდება ქართველებს, ჩევენ შესანიშნავი პრეზიდენტი გვყვადა, უკეთესი ალარც დასიზმრება საქართველოს... პრეზიდენტები, როგორც წესი, შეზღუდული გონიერის ხალხია, მშობლიდ პოლიტიკაში რომ მარჯვობენ ხოლმე, ზეიადი კი საოცრად სრულყოფილი ადამიანი იყო; საუცხოო მოაზროვნე, გასშტაბური...“

„ზეგად გამსახურდია სხვა იყო, სულ სხვა. მასთან დალაპარმოებისაც ერ /
მეშინოდა, რამე არ შემეშალოს-შეთქმა“. „კონსტანტინეს ვაჟი ყველაზე დიდი მოღვაწეა, ვინც უნდა შემოტკიცა
საქართველოს დავით აღმაშენებლის შეძეგ“

ო, რარე შეცდებით, თუ იფიქრებთ, რომ ყოველივე ეს ამონეროლია
რომელილაც იუმორისტული უურნალიდან... არა, ამას ამბობს პრეზიდენტი
გამსახურდიას კულტურის ხანმოკლე მინისტრი, არაიუმორისტი მნერალი
ნოდარ ნულებისკირი (გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 1997 წლის 3 ივნისი).

თქვენის ნებართვით, ბატონი ანზორ, ვუბრუნდები ამ ჩემი „უზნეო
ეპისტოლის“ ძირითად თემას, — თქვენს საყვარელ დემოგრაფიას.

სამნუბაროდ, მე არ ვიცი, იცნობთ თუ არა თქვენს „უნკურუნტის“, ლეო
ჩიქავას: იგი თქვენსავით, მგონი, დოქტოროც არის, ამავე დროს საქართვე-
ჩიქავას: იგი თქვენსავით, მგონი, დოქტოროც არის, ამავე დროს საქართვე-
ლოს მეცნიერებათა აკადემიის წევზ-კორესპონდენტია, ასე რომ, მეცნიერული
ტიტულები არ აკლა, დემოგრაფიული თანამდებობით თქვენსას თუ არ
ტიტულები არ აკლა, ყოველ შემთხვევაში თანაბარი მაინც არის. პოდა, მისი ინ-
ალებატება, რომელიც გამოქვეყნდა „საქართველოს რეპუბლიკაში“ 1997 წლის
ტერიტორია, რომელიც გამოქვეყნდა „საქართველოს პრეზიდენტის დასამშენდებლად: იგი-
იმ პოზიციაზე დგას, რაც მე გამოვხატე „არამეცნიერულად, არადე-
მოგრაფიულად“ ჩემივე ნერილში „ვილუპებით...“

მე მინდა იცოდეთ თქვენ და, რა თქმა უნდა, გონიერშია მცითხველმაც,
აკი ეს პასუხი თქვენს მიმართ კი არის დაწერილი, მაგრამ რაკი იგი
იძეჭდება, მას მცითხველიც გაეცნობა და მინდა მანაც შეისმინოს, რომ ლეო
ჩიქავას ინტერვიუ გამოქვეყნდა თითქმის თვენახევრის მოხანძის შეძეგ,
ვიდრე ჩემი ნერილი „ლიტერატურულ საქართველოში“ (30.05.97). ასე რომ,
მისთვის მე არაფერი არ მოშენარავს და არც არაფერს დავსესხებივარი,
ოლონდ ეს კია, ჩვენი დიდი ეროვნული უბედურება ერთი, საერთო
თვალითაა დანახული...

მოდით, გავეცნოთ ზოგიერთ მის აზრს დედნის მიხედვით:

„1979-1989 წლებში, მაგალითად, საქართველოში მცხოვრებ აზერბაი-
ჯანულ და სომხურ მოსახლეობაში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 08
ჯანულ და 04 პრომილით გაიზარდა, ქართული მოსახლეობისა კი, პირიქთ, 1,5
და 04 პრომილით შემცირდა. 80-იანი წლების დასასრულისათვის შობადობის კოე-
პილიტიკური საერთოდ პრაქტიკის ესრი 72 პროცენტით
ფიციენტი საერთოდ პრაქტიკის ესრი 72 პროცენტით შეცვლილა“.
აღემატებოდა. ეს თანაფარდობა არც შეძეგ პერიოდში შეცვლილა“.

— სოკედილიანობის ინტენსივობის მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია
ჩიკილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი... როგორია ამ მარკა ჩვენში
არსებული მდგმარეობა?

— 90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში ამ შერვაც არასას-
ურელი ტენდენცია შეიმჩნევა. ერთ წლამდე ასაკში ბავშვთა როცხვი ყოველ
ათას ცოცხალ შებილზე მარტო ერთი წლის მანძილზე (1993 წელს 1992

წელთან შედარებით) თითქმის 6 პრომილით გაიზარდა და 18,3 პრომილის მაღალი. ეს მაჩვენებელი 3-4-ვერ აღემატება მსოფლიოს მომენტი ძველების დონის. საგანგაშოა სხვა რამეც — შარშან გრძელებული ჩილ გავშვილის 90 პროცენტი ჩართვები იყო, გაგრძელებული ერთ კართველის ხარისხით მიღების მოსახლეობაში მოწყობი 70 პროცენტს შეადგენს.

— როგორია მოსახლეობის ბუნებრივი მატება?

— რამდენადაც შობალობა ეცემა, ხოლო მოკვდაობა მატულობს (ან სტაბილურია), ცრადა, მოსახლეობის ბუნებრივი მატება დაცემის ტენდენციით ხასიათდება. თუ 1960 წელს იგი შეადგინდა 18,2 პრომილს, 1990 წელს იგი დაეცა 8,6, ხოლო 1995 წელს — 3,4 პრომილადაც. ეს იგი 35 წლის მანძილზე 5,3 — ჯერ შემცირდა, რაც დემოგრაფიული კითხვების შეიდერების გართულების მაუწყებლივა.

გასულ საუკუნეში თუ საქართველო მოსახლეობის მატების მაჩვენებლით სომხეთსა და აზერბაიჯანს არათუ ჩამორჩიმდა, უსწრებდა კიდევ, დღეისათვის სურათისრიადგრალურად შეცვლილია. უკანასკნელი აღწერის მონაცემებით, ქართველთა ბუნებრივი მატება არ აღემატება 7,6 პრომილს, მაშინ როცა სომხების ეს მაჩვენებელი შეადგინდა 8,4, ხოლო აზერბაიჯანის — 22,9 პრომილს, ანუ 3-ვერ მეტს”.

— დღევანდელ საქართველოში ერთგვილიანები მომრავლენენ, მრავალშვილიანი ოჯახები კი უკვე იშვიათობას წარმოადგენენ, როგორ შეაფასებდით ასეთ ტენდენციას?

— რა თქმა უნდა, უარყოფითად. ჩვენში უკვე შევავედ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მოწრე შეიღის პროგლემაც”.

— ...აი, ბეჭრის რომ ქორწინებაზე საერთოდ უარი თქვა?

— ეს მთლად დამანგრეველია ერთს მომავლისათვის”.

— მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება... ეს საფრთხე ჩვენც ხომ არ გვეძურება?

— გვიმარტინა ეს არა, იმი ჩვენთან უკვე სახეზება... მოსახლეობა დაბერებულად ითვლება, თუ მასში 65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა ხვედროთი წილი 7 პროცენტზე მეტია (თუ 4 პროცენტზე ნაკლებია — ახალგაზრდად). 1995 წელში ასეთი პროცენტი 12,1-ს უტოლებოდა...

დემოგრაფიული დაბერებით გამორჩეულ რაონებში სიკვდილიანობა ძალიან მაღალია. ეს უწინარეს ყოვლისა, ჩართული ეროვნების მოსახლეობას ეხება”.

ო, ბატონი ანზორ, რომ იცოდეთ, რაოდენი განსხვავებაა თქვენს წერილსა და ბატონ ლეო ჩიქავას წერილ-ინტერვიუს შორის, არადა, მრივენ ერთ გათონს — დემოგრაფიას ემსახურებით. თქვენი წერილი, როგორადაც არ უნდა ვთქვათ, მაინც ოპტიმისტურ ტალღაზეა ამოზრდილი, ლეო ჩიქავას კი — ამ შერიც ნაკლები იმედების მომცემია, მთელი ჩვენი საბედისწერო ეროვნული უბედურება უჰირბადეოდ აქვს დანახული. მარტო

ის რად ლორს, როცა მას ეკითხებიან „დღევანდელ საქართველოში მომწოდებელი ვილიან ვილიანობა თითქოსდა მოდად იქცა, ქვეყანაში დედობერთები მომრავლდნენ... როგორ შეაფასებდით ასეთ ტენდენციას?“ ამაზე მეცნიერებაში უკავშირდებოდა დემოგრაფიისა და სამეცნიერო კვლევის ინსტატუტის ტენდენციების და ფიქრებლად პასუხობს: „რა თქმა უნდა, უარყოფითად. ჩენიში უკვე მავავედ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მოწოდებულის პროგრესი...“

თქვენ კი ნერთ: „რა თქმა უნდა, ნანილი ქალებისა აჩენს მესამე შეიღს, მაგრამ ქალთა დიდი ნანილი ორი შეიღს ამარა რჩება“. ვთქვათ, რომ ამ საკითხში თქვენ მართალი ბრძანდებით და „ქალთა დიდი ნანილი ორი შეიღს ამარა რჩება“, მაგრამ გვაძლევს კი ეს დამშევდების უფლებას მაშინ, როცა ჩენ უძრავი გაუთხვოვარი ქალი გვყავს, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის იმდენი უშვილო, რამდენიცაა საქართველოში (17 პროცენტი)...“

ორი კვდება — ორი რჩება და... როცხოვოვად საიდან უნდა მოიმატოს ერმა? ჩენ რომ შვედეთი ვიყოთ, კიდევ პო, გარედან შეჭრით მას არავინ ემუქრება, ჩენ კი, სხვებს რომ თავი დავანებოთ, ჩენს მიწა-წყალზე მცხოვრები „საქართველოს შეიღები...“ მშ...

თქვენ ნერთ: „დემოგრაფიული თაობის განახლებისათვის საჭიროა ოჯახთა უმრავლესობას ორი-სამი ბავშვი მაინც ჟყავდეს..““

პოდა, მთელ ჩემს „დემოგრაფიულ“, თქვენი აზრით, ჩირთიფირთობაში სწორედ ამას „ვეძადაგებ“, ვიღუპებით იმიტომ, რომ ორ შეიღსაც ალარ ვაჩინთ-მეტქი, მაშინ როცა აზერბაიჯანელები შეიდ-რვა შეიღსაც არ სკერდებიან; კარგი, ვთქვათ, მათ საამისოდ რელიგიურ-მუსულმანური ფაქტორი ამოძრავებთ, მაგრამ სომხებს რაღა ამოძრავებთ, ისინი ხომ ჩენისავით ქრისტიანებია და თვით სომხეთში, და ნანილობრივ საქართველოშიც, თის ბავშვზე ნაელები თითქმის არავის არა ჟყავს და... განა გაემტუნებათ, ისტორიულად სულ მოკლე დროში მათი გიდები უცხოელ ტურისტებს თუ ჩენზე ეტყვიან:

— Грузины - вымершая нация, они когда-то жили здесь...

თქვენს ნერლში ბეჭრი აბია მიმობნეული ჩენს დასამშეიღებლად, აი თურდაც, საფრანგეთში და უკანასაზეც შობადობა კლებულობს, დასახელებულია უამრავი სხვა ქვეყანაც, დანაც და პორტუგალიაც... პოდა, მაგრამ, რაში მეკითხება მე, უბრალო ქართველ კაცს, რა მდგომარეობაა ამ მხრივ შორეულ, თანაც 50 მილიონან უკანასში, ანდა 55 მილიონან საფრანგეთში რამდენი ბავშვი იბადება, თქვენ ეს მითხარით, ჩენს ახლო მეზობლებს, ჩენი თანდათანობითი სუვერინის ნეტარებით შემყურე კარის მეზობლებს რამდენი... (და ასე შემდეგ).

თქვენ, ბატონო ანზორ, არ შეგიძლიათ, თურმე, გულისტიკილი და გულისტიკიმა არ გამოთქვათ ჩემს მიერ

„ერთი მეტად ფაქტი საკითხის გამო, აბსოლუტურად მიუღებლად გაშექების გამო...“

ესაა,

„ზოგიერთი ერთს ზოგიერთი წარმომადგენელი თავისად მიითვლის /
ქართულ მინა-წყალს, ქართველი კაცის კულტურულ ნამაგარის/ ჩუქუპიშვილი/ ე
ქანისაცდელის უაშს, შხარში ამოდგომის მაგივრად, ზურგში მაგრძელ—უკუკუმის/ ე
მაგრამ ეს ცალკეული დასანანი შემთხვევები (ხაზი ჩემია, — კ.პ.) არ
გვაძლევს იმის უფლებას, რომ აუგად, უკადრისად მოვისხენიოთ მთელი
გვაძლევს იმის უფლებას, რომ აუგად, უკადრისად მოვისხენიოთ მთელი
ერები, რომელთანაც მრავალსაუკუნოები, მეგობრული, პოლიტიკური და
კულტურული ურთიერთობა, საერთო მტრების ნინააღმდეგ ბრძოლა გვაკავ-
შირებს“.

ო.ო, ანზორ ჩემი (ჩემი ახაკი უფლებას მაძლევს ერთხელ მაინც
ამგევარად მოგვაროთ), თქვენ, პირინმინდად ქართველმა, კი არა, ქვეყნის
მეთაურისა, ისიც თავიდან ფეხამდე ქართველმა, მაგრამ პირფესიონალმა
პოლიტიკოსმა — პოლიტიკა ხომ დროის ცვალებადობას ემორჩილება —
სწორედ ასე უნდა იღაპარაკოს (და ლაპარაკოს კიდეც!), თუნდაც მსოფ-
სნობის ასე უნდა იღაპარაკოს (და ლაპარაკოს კიდეც!), თუნდაც ას-
ლიო საკალატყო ფონდის გასაგონად (ამბობენ, სომხეთს ეს ფონდი ახ-
ლოსაც არ გაუკარებია, ჩევნ კი თვალებში შეციცინებთ: „კიდევ რას
გვიძრძანებთ, ბატონო?“)...

თქვენი ახლანდელი მსჯელობა ძალიან წააგავს, თარილი თუ არ
მეშლება, 1977 წელს ქართველ მეცნიერთა კრებას კინოს სახლში, სადაც
ისტოლოდა აფხაზეთის საკითხი ისე, რომ აფხაზების მიმართ არაფერი
სიმართლე არ თქმულიყო და არაფერი არ ეწყებინებინათ... ამ კრებაზე
ცეკას პირველმა მდივანმა ისტორიკოსი აკაკი ბაქრაძე ფონეშივე იურინა და
დარბაზში არ შეუშვა, ეს წყალს აამლურებოთ. მოდა, ამ წყლის აუდლუ-
დარბაზში არ შეუშვა, ეს წყალს აამლურებოთ. მოდა, ამ „დადებითი“ შედეგიც მოგვიტანა, ეს, ვფიქრობ,
თქვენც გეცოდინებათ.

„ამდენი უცხო ხალხი რომ არის შეყრილი საქართველოში, ეს ჩევნს
თანდაყოლილ ეროვნულ სიგლაზეზე მეტყველებს, თორმემ... აბა, რა საუკუ-
ნოვანი, რის საუკუნოები, რა შეგობრობა, რის შეგობრობა, ჩევნის შერივ —
კი, მაგრამ... როგორც ჩას, „ქვათა ღალადი“ ახალგაზრდობაში გაქვთ
ჩაითვლით...“

მაგალითისათვის: სომხები ახლაც კი, ზეპირი სიტყვით კი არა, ნაბე-
ჭდით, — 600 ქართულ ეალესის ისაუთოებენ, ჩევნი აშენებულიაო,
საზღვარგარეთ პაისატანის რუკებს უშევებენ, სადაც თბილისც კი მოქცეუ-
ლია სომხეთის „ისტორიულ საზღვრებში“...

მე ნუ მიპასუხებთ, მე გას არ წავიკითხავ, მკითხველებს უპასუხეთ: რაც
სომხებმა აფხაზეთში ქართველებს ყელები გამოიდრეს და თავები წააჭრეს
„საფუტტბოლოდ“, როგორ, „ეს ცალკეული დასანანი შემთხვევებია?“ და
თქვენ უნდა მისაყვედუროთ მე, თუნდაც პირზოდენტის სამსახურში მყოფმა,
მაგრამ მაინც „თავისუფალი, სუვერენული“ საქართველოს მოქალაქემ, რომ

„ასევე საფუტტელშივე მცდარია თქვენი შემდეგი მოსაზრება: „თქმა არ
უნდა, ჩევნი პირველი მტერი სომხებია, ისინი პირველები ელოდებიან ჩევნს
ამოხოცვას“.“

ამას, თუ ვნებავთ, ახლაც გავიმეორებ და ამ აზრის გასატერიცეპტოდ მეტებაც დავაძატიებ: „ჯავახეთში „ჯავახება“ „საკუთარი მშობლიური შემთხვევა“... კონსტიტუცია შეადგინა, დაბეჭდა და გამოაქვეყნა, ახალქალაში ცრული უკვე კარგა ხანია ქართველ მაღალჩინოსნებსაც აღარ უშვებენ და მართავენ სომხები, რასაკირველია, ნიჭიერი ხალხია, თითქოს ჰკვიანიც, ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ რესერს მუდამ სიყვარულს ეფიცეპტოდენ და ახლაც, როთაც დიდ მოგებასაც ნახულობენ, მაგრამ, მოდით, ამასთან შედარებით, ერთი პატარა, შორის გათვლილი კითომც ნურილმანი ვახსენოთ: საქართველოში აშენად მყოფ 12 ათას პატიმარში სომები ეროვნების ათიოდე პატიმარს თუ მონახავთ. ჩვენში მასობრივად მოდებულ დანაშაულობებში ისინი არ მონაწილეობენ, განზე დგანან და, ცხადია, ხელებს თბილად იფშვერტენ იმის მნახევლი, ქართველები ერთმანეთს თუ როგორ ვხოცავთ... აგრე ახლა ერთი ამბავი მაცნობეს: ტელევიზიას გადაუცია, სამცხე-ჯავახეთში ერთმა ავკაცია 9 ნლის ბიჭი გააუსატურაო. მე ვიკითხე, სომებმა-მეთქ? არა, ქართველია, გოგოლაძეო... გულს შემოძეყარა, ყოველი შერიდან სულ ცუდი და გლახა ჩვენ ერთს „ერთეულ“ წარმომადგენლებზე მესმის, თქვენ კი ჩემზე გულმოსული ხართ ერთის მხრივ იმიტომ, ქართველ ხალხს ტყის ხალხი რომ უწოდეთ:

„საერთოდ კი ქართველი ხალხის ასეთი ეპითეტით შემეობის უფლება არავის აქვს“.

მო, მაგრამ... ამ „ტყის ხალხის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი მეც გახლავართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშავს, ახალგაზრდა რომ ვიყო, ქართველობას გადაუცდებოდი და უფრო დალინებული ცოტნების მრავალური გავტერინდებოდი, ან გავამერკოლდებოდი, რასაც ახლა ცოტანი როდი მიმართავენ, თანაც არა იმიტომ, რომ ქართველობის ერცხვინებათ... მოკლედ, ტყის ხალხობაზე ცოტა ზემოთ იწიბულად თქვენც გისასუეთ და ამაზე აღარ შევწერდები.

თუმცა ეს დემოგრაფიის თქმა არ არის, მაგრამ თქვენ ისიც გაშფოთებთ, რატომ მაღიზიანებს „რევაზ გაბრიაძის გენიალურ შემოქმედად აღიარება“ (სიზუსტეს არ იცავთ, თქმული კი იყო ასე: „რომ ჩვენ თანამდებროვენ ვართ ჰეშმარიტად დიდი, მსოფლიოში აღიარებული გენიალური შემოქმედისა“).

ო, არა, ბატონი, სრულებითაც არ მალიზიანებს, მე რომ ასეთი კაცი ვიყო, მაშინ ჩვენს მთავრობას „წევერს დავაგლევადი“ და გადავაზდევინებდი 50 ნლის, 60 ნლის, 70 ნლის, 75 ნლის ისედაც დაწესებულ იუბილებს, მაგრამ... „არ დავაგლევე“, რადგან ყოველივე ეს საიუმორო საქმედ მეჩევნება და ის მომდინარეობს იმ ცნობილი ტრაბაზიდან, რომლის თანახმადაც — „რაც კარგები ვართ, სულ ქართველები ვართ“... „ქართული ესტრადის 30 ვარსკვლავი“ რომ ამბობენ, აი, მე ესეც მაღიზიანებს, რადგან 30 ვარსკვლავი ცაზე მთვარიან ღამეშიც ვერ დაგვითვლია და ესტრადის 30 ვარსკვლავი მსოფლიო ხელოვნების ცენტრში — პარიზშიც არ მოიძებნება. მე ისიც მაღიზიანებს, სულ პატარა რაიმეს, რაღაც

ნარმატებისას, ჩვენს პრესაში „უდიდესად“ რომ მონათლავენ სოლიდურობა და მათ გადაც ვწერდი კიდეც, ქართულ სამეტყველო ენაში სოტყვა უფრისებული კიდეც სულ თუ არ დაკარგულა, იყარგება კი, იგი „უდიდესად შეცვალეს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სასაცილოა, საჭიროა რომ არ იყოს. მე ვიცი რევაზ გაძრიაძე ბუნებისგან იუმორის დიდი გრძელბითაა დაჯილდოებული და, ალბათ, თვით მასაც გაეცინებოდა, როცა ის „ჭეშმარიტად დიდ, მსოფლიოში აღიარებულ, გენიალურ შემოქმედად“ გამოაცხადეს; მსოფლიო მარტი ქალაქ ნანტით ხომ არ შემოიფარგლება, სადაც რევაზმა, როგორც ეს საფრანგეთიდან მაცნობეს, მხოლოდ ერთი სპექტაკლი დადგა და ისცი, მგონი, ერთვერ მეტად არც ნასულა. მე ცოტა ისც მანუქებს, რომ ისეთი გონიერებამასტეოლი პიროვნება, როგორიც რევაზ გაძრიაძეა, ცდუნებას ვერ გაუძლო და, რეზო თაბუაშვილისა და რეზო ჩხეიძის ნაბაძეით, ქვეყნისა-თვის დიდხანს რევაზად ცნობილი, ერთ ღრუბლიან დღეს საზოგადოებას რეზოთი გამოეცხადა. ასევე ისტმის გიგა ლორთქებანიძეზე, გრიგორიშე, რომლის ნიჭიერებაში არასოდეს ეჭვი არ შემპარვია, თუმცა ასე „უჭრაგონ-ოდ“ გენიალობის ჩამომრიცხებულ საქართველოში გენიოსად არ მიმაჩრია... გიორგი ლეონიძეს სიცოცხლეში, ალბათ, ახლობლების გარდა, გოგლას არავინ ეძახდა, ახლა კი პრესაც, ალბათ „მაჟაცობის“ ნიშად, გიორგის ნაცვლად, უფრო ხშირად, გოგლათი იხსენიებს... ჩვენ თითქოს ტრადიციებს ვუფრთხოლდებით, გვინდა, რომ ისინი როგორმე შემოვინახოთ, მაგრამ... მე ადრეც ვწერდი, მგონი არაერთხელ და, რაკი იძულებული ვარ, ახლაც გავიძორებ: ილია ჭავჭავაძეს ილიკოს მარტო თავისიანები ეძახდნენ, მაგრამ ამ სახელით, „დათო“ გურამიშვილისა არ იყოს, როდისმე და სადმე საზოგადოებას გამოეცხადა კი? 1980 წელს მოსკოვში ნაპეტროვსკის მეტად საინტერესო წიგნი გამოვიდა, რომელშიც ავტორის დასკვნას ქართულად თუ ამოვიცითხავთ, ასე ნაიყითხება:

„ენიონბითო-მოცუერებითი სახელმისამართი ფორმა სრული სახელისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი არაოფიციალურ ხასიათს ატარებს, და მას მიმართავენ შინაურობაში, ოჯახში, მეგობრებისა და ამხანაგების ნრეში“.

ჩვენში კი, „დიდი ტრადიციების“ მქნე ქვეყანაში, გიგებს, გიგებს, ქეთინოებს, რუსეთებს არათუ „მეგობრებისა და ამხანაგების“ ნრეში, პრესაში და ჩვენს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოშიც — პარლამენტშიც კი ხვავრულად წააწყდებით.

ახლა ამას კი არა, ბევრ ოჯახში იმასაც შეხვდებით, როცა 3 წლის ბალლი ბებია-ბაბუას სახელით მიმართავს: ნათელა, ეთერი, თემური, გურა-მი...

დისტანციას უმცროს-უფროსობაში თვითონვე ვსპობთ და მერე გვიკვირს, სულ ღლაპიც კი პატივისცემით არ მეცყობა... ძალაუნებურად ჩემი ბავშვობა მახსენდება: მამაჩემი უძრალო მღვდელი იყო და გარეშენც კი ვერ უბედავდნენ სახელით მიემართათ: — ბატონი შინ ბრძანდება? — იკითხავდნენ ხოლმე.

დღეს კი უმაღლესი ორგანოები, მოძალებული სიბრძნის გამო, მამის

სახელს ოფიციალურ დოკუმენტებშიც არ აჭაჭანებენ და... თქვენ კადაგ ის გაოცებთ, ბატონი ანზორ, ტყის კაცობა როგორ აკადრეთ ჭრის გადაწყვეტილების თქვენ იმისთვისაც მკიცხავთ... მაგრამ უმჯობესაა უშალოზე განვითარებული გავეცნოთ:

„მერწმუნეთ, არც იმას მოგინოდებთ (თუ მოგინონებთ? — კ.ბ.) ვინე, რომ ასე ქლიკობთ ჩენ ცნობილ მწერლებზე, დრამატურგებზე, თეატრალურ მოღვაწებზე, სახელოვან ადამიანებზე, უდიერად მოისხენებთ, უკიდურესად ამცირებთ მათ შემოქმედებას, ლვანლს ქართველი ერის წინაშე, „ლიტერატურულ ღენერლებს“ უნდებთ ნოდარ დუმბაძეს, გრიგოლ აბაშიძესა და ირაკლი აბაშიძეს“.

კი, მაგრამ, ყოველივე ეს მაინც რომელ ჩემს ნაწერში ამოიკითხეთ? — ჩენს სახელოვან ადამიანებს რომ უდიერად მოვისხენებ, უკიდურესად ვამცირებ მათ შემოქმედებას, მათ ლვანლს ქართველი ერის წინაშე? თანაც ყველაფერი ეს სულ მრავლობითში, მრავლობითში... მე ხელმეათედ წავიკითხ ჩემი წერილის არათუ 34, მთელი 110 გვერდი და ამის მსგავსს ვერსად წავანყდი...

ო, მე, ბატონი ანზორ, არცთუ ისეთი დამზადეული და ბეყერათი ვარ, როგორც თქვენ გეჩვინებით. თქვენ კი მე დარბაისელ კაცად მიმჩინართ და... ასეთი და ამდენი ცილისწამება განა უნდა იყადროთ? რატომლაც არა მგონია, თქვენ ჩეველებრივი პასტით ნერდეთ, თქვენ უთუოდ ტუშით ნერთ, თორებ, ამდენ უსაფუძლო შავს, ამდენ ცრუ ბრალდებას, აბა, საიდან დაახავებდიო?

მე ახლა ასეც მგონია, თქვენ მიერ ჩემი შერსონის ამგვარმა „მაღალმა შეფასებაში“ გაათამამა და პოეტურ მუხაზე მოყვანა ალხაზიშვილი, როგოლ-მაც წაიკითხა რა „დემოგრაფია დრამატურგია ან არის“, ისეთი ბინძური „ლექსი“ მრეხვა, რომ ეს „რეხვა“ უფრო შემორჩება ისტორიას, ვიდრე მთელი მისი პოეზია... მეეჭვება, რომ თქვენ ამისკენ მიისწავლით, მაგრამ იბიჯეტურად თუ ვიმსჯელებთ, ამ „ლექსის“ თანავტორი თუ არა, ყოველ შემთხვევაში მისი შთამაგონებელი თქვენ ბრქანდებით, აკი მე ხომ ასე „ვქალიკობ“, თურმე, ჩენ ცნობილ მწერლებზე, მაშასადამე, ალხაზიშვილიც... საქმე კი ის იყო, რომ მის უარგუმენტო შარჩევ, „გალაკტიონს დასკრინის“, „ზიზძს იჩენს კლასიკოსებისადმიონ“, მე საკმაოდ ირინიული პასუხი გავეცი, თუ ამას ჩემი ნაწერებიდან ამოკრეფილი ციტატებით არ დამიმტკიცებს, მიუკერძოებული ვერდიქტის გამოსატანად საკონსატიტუციო სასამართლოს მივმართავ, რისთვისაც ორი კვირის ვადას ვიძლევი-მეოქმედი მის მერძე ირი კვირა კი არა, ირი თვეც გავიდა და რაკი დარწმუნდა, რომ აღარ „ვუჩივლებდი“, თანაც ამასობაში ჩემი „მოსხობი“ თქვენი სტატუაც წამოენია მწერლებში თანამდებობრივად საჭირო კაცს... მოკლედ, ამაზე უკვე მოგასხენეთ ზემოთ.

პოდა, რაღა დარჩა თქვენს მიერ ჩემზე შენერილი ცოდვებისაგან, თითქოს ყველა მათზე გიპასუხეთ, გარდა... „ლიტერატურული ღენერლებისა“. თო-თო, ამაში თქვენ მართალი ბრქანდებით, მაგრამ უფრო მართალი

იქნებოდით, თუკი ჩვენ, „ცნობილები“, სიცოცხლეში ისე ვიქცეოდეთ, რომ „უპრალი“ ხალხს, ჩვენი გარდაცვალების შემდეგ, არ მიეცეს იმის საბაზი, უკატიოდ მოგვისენონ.

— იყო ასეთი „ლენერალი“, თანამდებობითაც და შეერლობითაც, რომელთანაც ერთხელ ცხრა შვილის დედა მიეციდა და სოხოვა, მუქიანში ერთშეიღლიან ბობოლასთვის დიდი ხნის ნინათ გამოყოფილი, ცარელი ოთხთახანი ბინა გატეხე, ახლა იქდან მასახლებენ და ეგებ, დამებმართ, დაურეკოთ ამას და ამას... ჩვენი „ლენერალი“ მთელი თბილის დიდებულობას იცნობდა და ჩაძმაკაცებულიც იყო მასთან, მაგრამ თავი არ შეიწუხა და როცა მთხოვნელი თავის კაბინეტის კარამდე მიაცილა, პეითა, ცხრა შვილს მაინც რას აქმდეთ, — ცეცხლსო, მკეახედ მიუგო იმედდაკარგულმა ქალმა, მეათეზე ორსულმა...

კიდევ ერთი ამბავი სხვა „ლენერალზე“, ისეთზე კი არა ცნობილია რომ ვამბიბოთ ხოლმე, მართლაც სახელმწიფეჭილზე და დიდფულიაზეც: მასთან ორი ასალგაზრდა შეერალი ქალი მორიცებით მიეციდა და უამბეს, ერთ ქართულ სოფელში, ტრაგიკული შემთხვევის გამო, უდედმამოდ დარჩა ხუთი პატარა და-ძმა, სრულიად უსახსრებოდ და... ეგებ ცოტა რამეთი მაინც დაქმართოთ. ამაზე, საერთოდ კარგ კაცად მიჩნეულმა „ლენერალმა“, ასე უკასუხა: მაგათზე სახელშინიფო იჩრიუნებსო.

დიახ, არც ერთმა და არც მეორემ საწყლების დასახმარებლად თავი-ანთი ჯიბიდან ერთი მანეთიც არ ამოილს. არ მინდა თავის ქებად გამომიერდეს, მაგრამ სიტუაცია მაინულებს, მაინც ვთქვა: მანეთობისას, როცა ქველმოქმედება საბჭოთა სახელმწიფოს დამცირებად ითვლებოდა, მე ამის ანგარიშს არ ვუწევდი და გაჭირვებულ მრავალშვილიანებს, როგორა-დაც შემეძლო, ხელს უვამართავდი, თუმცა თვითონ ნეოლიზის დროინდელ ღარიბ სტუდენტებით ვცხოვრობდი (და ასე ვცხოვრიბ ახლაც, ლარობისას).

...რაკი, „ლენერლობას“ მოპყვა, მესაქემ, თავისი საიუბილეო თარიღისა-თვის, ერთი გაზეთის პირველი და შუაში ორი გაშლილი გვერდი იცოტავა, მეტი მიეცით, მეტიც და... ამ „ზენერას“ გადაპყვა კიდეც.

მეოთხე „ლენერალზე“ თავის დროზე მოგვითხოვდა მაშინაც დიდად წესიერი ადამიანი და, ვფიქრობ, არც ახლა შეიცვლებოდა (ო.თოლორაი):

„ერთმა ცნობილმა შეერალმა ორ ადგილზე მიიღო საცხოვრებელი ბინა და ამის შემდეგ იმსაც შეეცადა, რომ ერთ-ერთ ძველ ბინაში არასრულ-ნლოვანი შვილიშვილი დაეტოვებინა.

თუ კარგად იცნობთ ამ შეერლის შემოქმედებას, აღჭაცებული დარჩე-ბით, როგორ გვესაუბრება ზნეობაზე, სულის თუ ხორცის სიწმინდეზე, მამულიშვილობაზე, სკეტოზე...

როცა მის ნათევაში და ნამოქმედარს ადარებთ, გაოცებული რჩებით ამგვარი გარიგებით“.

— როგორ, ახლა უკვე ლენერლები ალარ გვყავს? — მკითხავენ ალბათ და მე მათ ვუკასუხებ: დიახ, ერთი გვყავს, მაგრამ ის უფრო გენერალია, ვიდრე ლენერალი; ასეთი გენერალი-შეერალი, რომელიც თავის

ზორუნვებს არ აკლებს მშენიალ-ჯარისკაცებს, რა თქმა უნდა, ქების ღირსა. მაგალითისათვის: ხნიორედ ერთი წლის წინათ, თბერვალ-მარტში უფრო ძლიერის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოვხვდი და უკაპეკის ასი ლტერატურული უზრუნველყოფა და იმის დროც გამონახა, რომ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრისათვის ეთქვა, რათა ჩემთვის უფასოდ ემუსირნალათ (და გაინც, ამ საავადმყოფოში, ღმერთო, მომკალი და მეტჯერ ნულარ დამბნენ; აյ კაცები და ქალები ერთი საერთო „უბორით“ სარგებლობენ. „ეჭრობა!“).

რაც შეეხება ჩემს შესაძლო „ლენინერლობას“, მე რომ პარლამენტის თავმჯდომარეს ასეთად მივაჩნდე, მაშინ სამი თვის წინათ მის სახელზე გაგზავნილ მიმართვაზე, ალბათ, უეჭველად მიპასუხებდა, თუმცა იმდეს მაინც არ ვკარგვა, რაკი მახსოვეს მისი ამაყი ფრაზა, ნარმოთქმული სტრასბურგში: „მე ქართველი ვარ და მე ვარ ეკროპელი“. ეკროპელები კი ნერილებს, საერთოდ, უსასუქოდ არ ტოვებენ ხოლმე.

ისე კი, ბატონ ზურაბს გულით ვულოცავ მესამე შეიღნას, და თუ ამას მეოთხესაც მოყოლებს, ჩემი „კლასიფიკაციით“, გზა სსინილი ექნება თავისი თავი საპრეზიდენტოდ წამოაყენოს.

თქვენ თავს მესხმით, ბატონო ანზორ, იმისთვისაც, რომ მე „არამტდაარ-ამც“ არ მოწინოს ციტატა „საქართველოს რესუბლიკიდან“:

„ყოველივე უნდა ვილონოთ, რათა ავამალლოთ ქალის როლი საზოგადოებაში, გვაკათავისუფლოთ იგი ზედმეტი შრომისაგან და მიცეც საშუალება მეტი დრო დაუთმოს საზოგადოებრივ ცხოვრებას“.

რომ იცოდეთ, მე ერთი პატრიატი მანდილოსნის აზრიც არ მომდის ჭკუაში, რომელიც მოგვიწოდებს, მეტი ქალი ჩავაბათ პოლიტიკაშით... „მეტი ქალი ჩაბათ პოლიტიკაში“ ზეიდ გამახურდიამ, ისინი თითქმის ათა ათასობით „გააპოლიტიკოსა“, მერედა, რა მოგება ვნახეთ ამით?! ერთშეილი ინობაზე უკვე მტკიცედ მდგომ ერისათვის რა „ბენიერების“ მომტანია ყოველივე ეს, ამაზე ჯერ კიდევ როდის — 1980 წლის აპრილში! — საბჭოთა კავშირის პირველი დემოგრაფი, პროფესიონი ბურღანის, თითქმის და ქართველების თვალის ასახელად ნერდა:

„Грузинская женщина УЖЕ ДАВНО начала ограничивать свою рождаемость и планировать число детей. Так, например, совсем молодые грузинки в возрасте 25-29 лет 5 лет назад рожали 155 детей (на 1000 женщин), а теперь 132 ребенка. В следующей возрастной группе, т.е. 30-34 летних, число рожденных из 1000 женщин уменьшилось за 5 лет с 88 до 80. Особенно сильно сократили свою рождаемость грузинские женщины в возрасте 35-39 лет с 40 детей (на 1000 женщин) до 26, т.е. почти вдвое за 5 лет.“

დიახ, ესეც თქვენ — „ქალის როლი ავამალლოთ საზოგადოებაში“, ესეც თქვენ — „მეტი დრო დაუთმოს ქალმა საზოგადოებრივ ცხოვრებას“, ესეც თქვენ — „მეტი ქალი ჩავაბათ პოლიტიკაში...“ სულ კლება, კლება, კლება... ერთშეილიანობამდე!

(სხვათა შორის, თუ დაკარგეთ და აღარ გაქვთ „Демографический энциклопедический словарь“, მე გისაჩერებოთ, თქვენ მას უკეთ მოიხმართ).



თქვენ, ბატონი ანზორ, როგორც ჩას, ცდილობთ გაგვანათლოთ:
 „ტრადიციულად ჩვენში მრავალშვილიან ღვეაზები არ იყო პიროვნეული
 მათი რაზითაც თქვენ ასე დაუინტიბით ნერი“.

თქვენს მიერ შერისხულ „შავ წიგნში“, რომელიც, ვფიქრო, უფრო ადრე დაინტერა, ვიდრე თქვენ სპეციალობად დემოგრაფიას აირჩიედით, მე კოტატა გერმანელი მეცნიერის ოკეზენდოკის წიგნიდან, რომელიც 1926 წელს გამოიცა:

„საქართველოში ბავშვთა სიმრავლე ჩვეულებრივია, უაძისოდ ქართული მოდგომა დიდი ხანა მიწის პრიდან აღვილი იქნებოდა და უკალოდ გაქრებოდა“.

და აი, უკვე სამოცდათი წელინადა თანდათან ვერებით და ვერებით
ძალისა სამოცდათი აღარ მეფობს საქართველოში!

„ადამიანები უკვე მეტ დაინტერესებას იჩინენ ცხოვრების ხარისხისადმი, თოლოული შვილის აღზრდისადმი...“

თითოეული გვილის აღმართებით... პო, გაგრამ, ის „თითოეული შეილი“ ხშირად, ძალზე ხშირად ისე გვეზრდება, რომ სწრაფი კითხვაც არ იცის... ათანაირ ატესტატიან-დიპლო-მიანს ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდებით, გაგრამ მათში ელემენტარული გონის უფრო უფრო ნასახის მქონებს ათასში ერთსაც ძნელად თუ მონახავთ. არადა, კულტურის ნასახის მქონებს ათასში ერთსაც ძნელად თუ მონახავთ. არადა, გოგრაში უყრია რომე თუ არ უყრია, დიდაცობა უნდა ყველას.

რასაკენოველია, არიან გამონაკლისები, რომელიც ძოხყისავებ ცუკ-
პრია წიჭირებით, შრომისმოყვარებით, სიცვეითოთ...

წყნეთში მცხოვრებ, უმუშევარ კარლო მატიაშვილს 5 შეიღი პყავა (მისი ტელეფონია — 29-88-57), ინგა და დავით ჭეიშვილებს — ე. ჭეიშვილი (ტელ. 96-52-88), ნინო და ბესარიონ მენაბედებს — 8 შეიღი, უფროსის „შესაბუთის“ შემცროსი 6 თვის (38-72-18), არქიტექტორებს ლია ბოკერიას და პაატია შანშიაშვილსაც 8 შეიღი პყავთ, უფროსის ანა 19 ნლისაა, უმცროსი ერეალე 2 თვის; ესენი ცხოვრობენ გამსახურდისას პროსპექტზე №35-ში, ორთახან ბინაში, ბავშვებისათვის საწოლები მატარებლის კუპესავით აქვთ მონუმენტი, ორ-ორ სართულად (ტელ. 37-17-23).

აი, რა ხალხი უშეველის და იხსნის საქართველოს, რათა არ აღიგავოს მინისა ზედა... თქვენ, ბატონო ანზორ, დემოგრაფიის მთელი დეპარტამენტი გაბარიათ, თქვენ პრეზიდენტთან დაახლოებული პირი ბრძანდებით და იოლად მიგესვლებათ მასთან, პოდა, უამბეტ თქმულებასავით ეს საკვირველება და... აღმოუჩინეთ, ამ დიდ მამულიშვილებს რაიმე ხელშესახები დახმარება, მათ, ცხადია, უჭირთ. გადაეცით აგრეთვე პრეზიდენტს, რომ უბრძანოს ლევან მამალაძეს, ნუ აწვალებს და ათხოვოს ტრაქტორი სოფელ სონში მცხოვრებ თორმეტშვილიან ნოდარ ტალიაშვილს, — კაცი მინას ებრძეის, რათა გამოკვებოს თავისი მრავალრიცხვანი ოჯახი...

დიახ, ეს იქნებოდა ყველაზე უკეთესი დემოგრაფიული კონცეფცია, რასაც თქვენ დეპარტამენტი შეიძინავებდა 1999 წელს!

მშევნეობის სახელი „ცოტნე“ საქართველოში ერთ-ორ კაცს პეტრია, ჯამბულები კი ასობით დაითვლებიან, ჩევნი საშშლობლოს ამომგდებ ლენგისა კი — თემური — ათასობით... ზემოთ დასახელებულ შეიღებში კი ერთსაც ვერ შეხვდებით: ვერც ჰამლეტს, ვერც რობერტს, ვერც რიჩარდს... ყველა ქართული სახელის მქონეა. ეს კი, რასაკვირველია, მათი მშობლების კულტურულზე მეტყველებს.

(მკითხველს პატიებას ეთხოვ ჩემს ნაწერებში, ზოგჯერ, ერთი და იმავე ამბის გამეორებისათვის, რაც იმდენად გამოჩერჩეტებულობით როდი მომდის, რამდენადაც იმის ფიქრით, ვაითუ ნამკითხველს აღარ ახსოვდეს-მეთქი).
ბატონი ლეო ჩიქავა, თქვენი არ იყოს, პრეზიდენტის სამსახურშია, მაგრამ მას მაინც ყო გამბედაობა ეთქა: „ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, (რაც ნაკლებ და სარწმუნოა)“ ...

პოდა, მასში მოსახლეობის აღწერა რომ ჩატარდება, ჩვენს სტატისტიკის სტატისტიკის ზოგი რამ „არასარწმუნო მონაცემები“, ვაითუ, გაეძაროთ, და ეს არა ხალხის, უფრო პრეზიდენტის კარგ გუნდაზე დასაყინებლად...

ოფიციალური ცნობითაც კი, ამ არეულ წლებში საქართველოდან უცხოეთში, უკეთესი ცხოვრების საძიებლად, 400 ათასი კაცი გადაიხვენა, მეტწილად ახალგაზრდობა... ეს რიცხვი, თუნდაც სიმართლეს ღალატობდეს და ნაკლებიც იყოს, სამ მილიონიან ერთათვის მაინც ზურგში მახვილის ჩარტყმაა...

დიახ, დღეს ყოველგვარი დემოგრაფიული თეორიებისა და კონცეფციების გარეშე, ეროვნული კატასტროფის ნინაშე ვდგავართ, ეს ამბავი კი არც პარლამენტს და არც პრეზიდენტს, მათი უმოქმედობის მიხედვით თუ



ვიმსჯელებთ, დიდად არც აწუხებთ, არც აღელვებთ.

ამ ფონზე, ჩასაკვირველია, რომ საქართველოში ჩეტკოში და ტრირებული ას პარტიიდან, შალვა ნათელაშვილის შრომის პრეზიდენტის ერთ-ერთ უძლიერი ადგინიერება ახლოს მიაქვს გულთან, მათ საარჩევნო პიოვრამაში ვკითხულობთ:

„შემაშეფოთებელია დემოგრაფიული კატასტროფის საფრთხე, რაც გამოხატება ქორწინებათა და შობადობის მკვეთრ შემცირებაში, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემოკლებასა და სკვდილიანობის ზრდაში...“

„მრავალშეინიშვილიან ოჯახებს უფასოდ უნდა გამოყოფო ბინები...“

დიახ, მართალია, შრომის პარტია, თქვენს საყვარელ გამოთქმას თუ დავესესხები, ბატონო ანზორ, მხოლოდ ზედაპირულადაა ჩახედული დემოგრაფიის როგორ საკითხებში, მაგრამ დედისებთა, ერთშეინიშვილიან საქართველო რომ სულს ლაფაეს, ამას ზედმინევნით გრძნობს.

და თუ შალვა ნათელაშვილი, დაქ თუ წვალ, რეპუბლიკაში პირველი კაცი გახდება, და იცოდეს, ნიჭიერ, მაგრამ ეროვნულად უჭიურ ქართველ ხალხს ვერავითარი დემოგრაფიული დეპარტამენტები ვერ უშეველიან და ვერც პრეზიდენტის ფიცელი, ცეცხლოვანი პატრიოტული მონიდებანი, ჩევნი ხსნა, ასე თუ ისე, შეუძლია შოლოდ საგანგებო ადმინისტრაციულ ზომებს, რომელგანმარტინ არაერთი სიტყვა აქვს თქმული ერთ არადემოგრაფს თავის ნაწერებში.

თქვენ ნერთ:

„1940 წლიდან დაწყებული დღემდე ჩევნს ქვეყანაში სისტემატურად მცირდება შობადობა“.

მე, ამაზე, ჩასაკვირველია, არ შემოგედავებით, თუმცა უფიქრობ, შობადობის კლება ჩევნში ბეჭრად აღრე, ოციანი წლების დასაწყისიდან დაწყო. მე უფრო, ცოტა არ იყოს, ის მაოცებს, რომ თქვენ, აღბათ, შეუძლის კაცი — დემოგრაფი, ეყრდნობით რა სტატისტიკას („რაც ნაკლებად სარჩმუნოა“), აგრძელე ნერთ:

„...1959 წელს ქართველების რაოდენობა 2600 ათას კაცს უდრიდა, ხოლო 1989 წელს — 3787 ათას ემ. ოცდაათი წლის მანძილზე ქართველების რიცხოვნობა მილიონ ორასი ათასით გაიზარდა“...

ო-ო, ანზორ, ანზო-ორ, ზღაპარია ეს, ზღაპართზღაპარია, თუნდაც 1940 წლიდან შობადობა ერთი პრომილითაც არ შემცირებულიყო.

ოცდაათი წლის მანძილზე მილიონ ორასი ათასი კაცით, მე-19 საუკუნეშიც, როცა რუსეთმა ჩევნი თავი შემოიერთა და გარეშე მტრებისგან, როგორც იქნა, დავისვენეთ და ლრმად ამოვისუნთქეთ, მაშინაც კი... მილიონ ორასი ათასი კაცით... ერთა!

